საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 ივნისი, 2014 წელი.

№107 (7488)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

სამშობლოს სამსახურს ხელფასი არ უნდა განესაზღვრავდეს!

③-④

პოლიტპარტიათა თავკაცების ყოველთვიური ხელფასების ოდენობა

②

„თუ „ქართულმა ოცნებამ“ სისუსტის იმიჯი არ მოიშორა, მომავალში ბევრი პრობლემა გაუჩნდება“

⑥

ქორებს პატრიარქის შესაძლო გადადგომის შესახებ ბოლო მოეღო

②

თბილისი დაინტერესებულია აფხაზეთის საზოგადოებასთან დიალოგით

⑧

რუსთავს შველა სჭირდება!

⑦



ფრიად საჭირო და სერიოზული ნაშრომი დასანანი ხარვეზებით

⑨

ცხელი ზაფხულის კონტურები

⑩

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

ჭორებს პატრიარქის შესაძლო გადადგომის შესახებ ბოლო მოეღო

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა უცხოეთის ეპარქიებისთვის ოთხი ახალი მღვდელმთავარი შეარჩია, — ამის შესახებ წილკნელმა მიტროპოლიტმა ზოსიმემ განაცხადა.

გუშინ საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. სხდომის პირველადი შედეგების შესახებ განცხადება მეუფე ზოსიმემ გააკეთა.

ჟურნალისტების კითხვაზე, იმსჯელა თუ არა სინოდმა ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით, მეუფე ზოსიმემ აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით სინოდმა პატრიარქის განცხადება დაამოწმა და მოიწონა. მღვდელმთავარმა ასევე უარყო საზოგადოებაში გავრცელებული აზრი პატრიარქის გადადგომისა და სინოდზე ამ საკითხის განხილვის შესახებ.

მიტროპოლიტის თქმით, უცხოეთისათვის დასავლეთ ევროპაში შეირჩა ორი ახალი მღვდელმთავარი, კერძოდ, გერმანია-ავსტრიისა და ჰოლანდია-ლუქსემბურგის ეპარქიებისთვის, ასევე ერთი ახალი მღვდელმთავარი ამერიკისთვის. აგრეთვე კიდევ ერთი მღვდელმთავარი —საინგილოსთვის.

მეუფე ზოსიმეს განცხადებით, გერამანია-ავსტრიის ეპარქიაში არქიმანდრიტი ლაზარე სამარბეგიშვილი ეკურთხება, ჰოლანდიაში იქნება არქიმანდრიტი დოსიფე ბოგვერაძე, ამერიკაში — არქიმანდრიტი საბა ინწკირველი და საინგილოში - არქიმანდრიტი დემეტრე თეთრუაშვილი.

მეუფე ზოსიმეს განცხადებით, სინოდის სხდომაზე საქართველოს ეკლესიის პირველი მთავარეპისკოპოსი იოანე წმინდანად იქნა შერაცხილი.

დღემდე სულ იყო 43 ეპარქია, პატრიარქის ჩათვლით კი, 45 მღვდელმთავარი.

მოქალაქეები ერთმანეთთან კონტაქტით კონფლიქტის დაძლევისა და შერიგების გზას უნდა დაადგნენ

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტს დიდიე ბუკჰალტერს პირისპირ შეხვდა, რის შემდეგაც შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით გაგრძელდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, უპირველესად, მხარეებმა ყურადღება ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე გაამახვილეს.

მათივე განმარტებით, დიდიე ბუკჰალტერმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ქვეყნის პირველ პირს ცხინვალის რეგიონში კერძოდ, ერგნეთში, ე.წ. გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ,

— შვეიცარიის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მსგავსი მექანიზმი გალშიც ამოქმედდება. როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტმა განაცხადა, საჭიროა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა ერთმანეთთან კონტაქტი შეინარჩუნონ და ასე დაადგნენ კონფლიქტის დაძლევისა და შერიგების გზას. შვეიცარიის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელი და ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია საქართველოში აღდგეს ეუთოს წარმომადგენლობა.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა დიდიე ბუკჰალტერს ინფორმაცია მიაწოდა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულსლართების გავლების, ადგილობრივი მოსახლეობის გატაცებების და უკანონო დაკავებების ფაქტების შესახებ.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.

მხარეებმა ასევე ორი ქვეყნის თანამშრომლობის დეტალები განიხილეს და განაცხადეს, რომ ურთიერთობა უნდა გაღრმავდეს როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე კულტურული მიმართულებით.

ქართული მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში ივანე მაჭავარიანი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე, პარლამენტის უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია და შვეიცარიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ყურაშვილი.

გაფორმდა „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება“

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა დიდიე ბურკჰალტერმა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ აღნიშნა, ორმხრივი შეთანხმება შვეიცარიასთან ეკონომიკური და ბიზნესაქტივობის განვითარებისთვის მყარ იურიდიულ ბაზას შექმნის, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას.

ხელმოწერის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შვეიცარიის პრეზიდენტს დიდიე ბურკჰალტერს სამუშაო სადილზე უმასპინძლა.

მხარეებმა ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობასა და საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრეს. შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შვეიცარიის პრეზიდენტს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მედიატორის როლის შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა.

ინტერპრესი

◎ ესეც ასე!

რამდენად ფასდება პარტიათა ლიდერობა?

პოლიტპარტიათა თავკაცების ყოველთვიური ხელფასების ოდენობა

ცნობილია, რომ პარლამენტი 2015 წლის ბიუჯეტს გაზრდიდა და ამაზე უამრავი კომენტარიც კეთდებოდა. ბოლო სასესიო კვირაში კი სრულიად მოულოდნელად, პარლამენტმა დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც, მომავალი წლიდან არანაირი სახელფასო ზრდა არ მოხდება...

ვაშა ბერიძე, პოლიტოლოგი: „ხელფასების მატება, სოციალური სიდუხჭირის პირობებში, სახელმწიფო აპარატში პოპულარული ვერ იქნება. საზოგადოებას ამ თემაზე საუბარი აღიზიანებს. როცა ხელისუფლებაში „ნაციონალები“ მოვიდნენ, სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის თანხმობითა და დახმარებით, მინისტრებს საკმაოდ მაღალი ხელფასები დაენიშნათ. არსებული სახელფასო სისტემა იმ პერიოდიდან იღებს სათავეს. თუმცა, ამჟამინდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ყოფილი ხელისუფლების პირობებში, ჩვენ საერთოდ არ ვიცოდით, სამინისტროებში, ან სხვადასხვა უწყებებში რა დონის ხელფასები იყო. ამაზე ინფორმაციას არავინ იძლეოდა. დღეს ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ასტროლოგიურ ციფრებში გამოხატული ხელფასების, დანამატებისა და პრემიების მომხრე არ ვარ, მაგრამ არც ეს პოპულისტური ბაკქანალია მიმაჩნია მისაღებად, რომ, რადგან საარსებო მინიმუმი 150 ლარია, სახელმწიფო სტრუქტურებში ყველაზე მაღალი ხელფასი 300 ლარი უნდა იყოს. არაფერი ისე ძვირი არ უჯდება ქვეყანას, როგორც იაფი სახელმწიფო აპარატი — ეს აპრობირებული მიდგომაა. საგანგაშო ხელფასების მატება არ არის, მაგრამ კარგად უნდა იყოს გააზრებული - რა ვითარებაში უნდა გაზარდო. იქ ხელფასები ისედაც მაღალია და მატების გარეშეც წარმატებულად შეუძლიათ იმუშაონ ამ სტრუქტურებმა“.**

რამდენიმე თვის წინათ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ საკანონმდებლო ინიციატივა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ყოველთვიური ხელფასი უნდა გაზრდილიყო. მოგვიანებით ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, ამაზე განცხადებაც გააკეთა, — პრეზიდენტი მარგველაშვილი ყოველთვიურ ხელფასს 7 200 ლარის ოდენობით აიღებს, თუმცა, ეს თანხა ანაზღაურების ერთადერთი წყარო იქნება, წინა პრეზიდენტისგან განსხვავებითო.

ჩვეულება არ დაარღვიეს და სიახლე სათანადოდ გააპროტესტეს „ლეიბორისტულ პარტიაში“. „ქვეყანაში, სადაც მილიარდი ლარითაა გარღვეული ბიუჯეტი, სადაც მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფება, სადაც ბავშვები და მოხუცები შიმშილობენ, ოლიგარქის ახლად დანიშნულმა პრეზიდენტმა პირველი გადაწყვეტილებით საკუთარი ხელფასი გაიორმაგა“, — განაცხადა მაშინ პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ.

როცა იგი ამ განცხადებას აკეთებდა, ალბათ, არ იცოდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტის 7 200-ლარიან ხელფასზე დიდი გულმოდგინებით დაობენ, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დიდი ნაწილის ყოველთვიური ხელფასები, პრეზიდენტის ამჟამინდელ ხელფასზე 2-ჯერ, ხან კი მეტჯერ მაღალია. მათ შორის „ლეიბორისტულ პარტიაშიც“. ვინაიდან გიორგი გუგავასთან დაკავშირება, ალბათ, წინასაარჩევნო ალიაქოთის გამო, ვერ მოვახერხე, ამ კითხვაზე პასუხიც ვერ მივიღე.

ახლა კი ვნახოთ, რა თანხებია აღნიშნული კანონით სავალდებულო სახელფასო დეკლარაციებში, რომელიც „სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის“ არის მიწოდებული. ეს 2013 წლის მონაცემებია. კოლოსალური თანხები კი, როგორც განმარტავენ, პარტიებს სხვადასხვა შემოწირულობების(!!!) შემდეგ უჩნდებათ.

„ეროვნული ფორუმი“ — პარტიის ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი პარტიის თავმჯდომარე **კახა შარტავაა.** მისი ყოველთვიური ხელფასი — **21 000 ლარია;**

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის გიორგი თარგამაძისა და პარტიის გენერალური მდივნის **ლევან ვეფხვაძის** ყოველთვიური ხელფასი **30 000 ლარია;** მათ 2 500 ლარით ჩამორჩებიან პარტიის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე **მაგდა ანიკაშვილი** და პარტიის რეგიონალური სამსახურის უფროსი **გიორგი ახვლედიანი.** მათი ყოველთვიური ხელფასი 27 500 ლარია;

„საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ ლიდერის **პაატა დავითაიას** ყოველთვიური ხელფასი **42.000** ლარია;

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ბუღალტრად **ნინო ბურჯანაძეა** მითითებული, მისი ყოველთვიური ხელფასი **12 500** ლარია;

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერის **ბაჩუკი ქარდავას** ყოველთვიური ხელფასი **7 500** ლარია;

პარტია **„თავისუფალი დემოკრატების“** თავმჯდომარის **ირაკლი ქადაგიშვილის** ხელფასი **23 500** ლარია;

პარტია **„ახალი მემარჯვენეების“** ლოჯისტიკის სამსახური უფროსის **დავით ტყეშელაშვილის** ყოველთვიური ხელფასი **8 250** ლარია;

„ლეიბორისტული პარტიის“ ყველაზე მაღალი ყოველთვიური ხელფასი **12 386** ლარია, მას **იოსებ სამხარაძე** იღებს, მისი თანამდებობა არ არის მითითებული;

„მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის **სერგო ჯავახაძის** ყოველთვიური ხელფასი **4 000** ლარია;

პარტია **„საქართველოს გზის“** ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი **თეიმურაზ მურვანიძეა**, რომელიც ხელფასს უნაღდო ანგარიშსწორების სახით იღებს — **16 750** ლარის ოდენობით;

„საქართველოს კონსერვატიული პარტიის“ ხელმძღვანელის **ზვიად ძიძიგურის** ყოველთვიური ხელფასი **12 750** ლარია;

„ქართული დასის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი კადრი **თორნიკე ბაღათურიაა,** მისი ხელფასი **2 400** ლარია.

„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერის **ზურაბ ტყემალაძის** ყოველთვიური ხელფასი **56 875** ლარია;

პარტია **„ხალხის პარტია“** — სახელფასო გრაფა ცარიელია;

პარტია **„თავისუფალი საქართველოს“** ყველაზე მაღალი ხელფასი **3 088** ლარია, მას პარტიის ბუღალტერი **ქეთევან ურდულაშვილი** იღებს;

„ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის“, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის **ეკატერინე ჩიტიაშვილის** ყოველთვიური ხელფასი **19 500** ლარია;

ამასთანავე:

პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის **არმაზ ახვლედიანის** ყოველთვიური ხელფასი **8 899** ლარს შეადგენს;

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის **ელენე ჯავახაძის** ყოველთვიური ხელფასი **18 000** ლარია;

„რესპუბლიკური პარტიის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი კი **თამარ რომელაშვილია,** მისი ხელფასი **16 800** ლარია;

ზემოჩამოთვლილ პოლიტიკურ პარტიებში ხელფასის მინიმალური ოდენობა 50-დან 500 ლარამდე ფიქსირდება.

ამ ჩამონათვალის გაცნობის შემდეგ, ალბათ, არ იქნება რთული, დავასკვნათ, რატომ დუმს ეს ხალხი, როცა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხელფასების მატების ფაქტები გამოაშკარავდება...

დიანა ლიპარტელიანი,
„კვირის ქრონიკა“

◎ განსჯა

სამშობლოს სამსახურს ხელფასი არ უნდა განსაზღვრავდეს!

ხელისუფლების თავგასულობა და მასთან დაპირისპირებულების ზოგიერთი მცდარი შეხედულება

ხელისუფლების ყველაზე დიდ საკანონმდებლო თავგასულობაზე, პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებულ ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ბევრი ითქვა და დაიწერა, ამ სამარცხვინო კანონის გაუქმებას ითხოვს ერი და ბერი, მაგრამ მხოლოდ საგაზეთო თუ ღია წერილებით და ხელმოწერების შეგროვებით, პარლამენტარების ნამუსზე შეგდებით არაფერი გამოგვივა, ყველაფერი ფუჭი დემოკრატიული ფაფხური იქნება. ხელისუფლებას კარგა ხანია, ყველაფერზე ერთი პასუხი აქვს: ხომ მოგანიჭეთ სიტყვის თავისუფლება — წერეთ და იკითხეთ რაც გენებოთ, არავინ გიშლით, კანონებს კი რაც შეეხება, ამას არავის არ ვეკითხებით, არც ერს და არც პატრიარქს, ყველაფერი უმაღლეს დონეზე გვაქვს შეთანხმებული, სადაც ჯერ არსო.

ამ პარლამენტისგან, სადაც ერთი დეპუტატიც არ აღმოჩნდა ანტიდისკრიმინაციული(!) (სახელების შერჩევა, იცოცხლეთ, ეხერხებათ დასავლეთში!) კანონის საწინააღმდეგოდ ხმის ამომღები, პარლამენტისგან, რომელმაც უწმინდესის თხოვნა (კანონის განხილვის გადავადების თაობაზეც კი!) ყურად არ იღო და ქრისტიანულ სამყაროში მომაკვდინებელ ცოდვად მიჩნეული მამათმავლობა ფორსმაჟორულ რეჟიმში (რის აუცილებლობასაც ვერავინ გვიხსნის!) ცხოვრების ნორმად დაგვიკანონა, იმის მოლოდინი, რომ იგი სამოქალაქო საზოგადოების აზრს შეისმენს და ათეულ ათასობით, თუნდაც, ასეულ ათასობით მოქალაქის ხელმოწერებს ანგარიშს გაუწევს, ისეთი მიამიტობაა, რომ ძალაუნებურად იფიქრებ — ამ პატიოსან ხალხს ლოგიკური აზროვნების უნართან ერთად მეხსიერებაც დაუკარგავსო. სულ ახლახან, წლინახევრის წინათ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არ იყო, მილიონ ორასი ათასი ამომრჩეველი (ზრდასრული მოსახლეობის ნახევარი!) პარლამენტისგან პრეზიდენტ სააკაშვილისთვის უფლებამოსილების შეჩერებას რომ მოითხოვდა (ხელმოწერებით!) კანონიერ ვადებში — პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ?! და, რას მივაღწიეთ? კანონიერი მოთხოვნის აღსრულებას ვერ ვეღირსეთ ამ პარლამენტისგან და მის მიერ გუშინ ერთხმად მიღებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც საერთაშორისო (ანუ დასავლეთის!) პროგრამის ნაწილად ითვლება, იმას გააუქმებს?! სიტყვით და ხელმოწერებით გამოხატული პროტესტები ქოცნაცებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით!

ერთი და იმავე უნაყოფო მეთოდებით (მოლაპარაკება იქნება ეს, თუ ხელმოწერების შეგროვება) ჩვენისთანა „დემოკრატი“ და „დამოუკიდებელი“ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, ყოველთვის უშედეგო იქნება. ფაქტია, და ამას ვერ გავექცევით, ვერც ნაცებთან და ვერც ქოცებთან ამ გზით ვერასოდეს ვერ მივაღწიეთ ვერაფერს. მივაღწიეთ კი არა, ზამთარში, პარლამენტის კართან მდგარ 86 წლის ღვაწლმოსილ და საამაყო კინორეჟისორ ბ-ნ რეზო ჩხეიძეს, რომელსაც ხელთ ეპყრა მილიონ ორასი ათასი ხელმომწერის მოთხოვნა, პარლამენტის თავმჯდომარემ პარლამენტში 5-წუთიანი გამოსვლის საშუალებაც არ მისცა.

რად უნდა იმას მტკიცება, რომ ნებისმიერი კანონი, ისეთიც კი, რომელსაც არც ზნეობასთან, არც დემოგრაფიასთან და არც ეკლესიასთან უშუალო შეხება არა აქვს, მაგრამ, რომელსაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეწინააღმდეგება, ნორმალურ სახელმწიფოში არაფრით არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, ასეთი კანონის განხილვაც ვერ უნდა გაბედოს! და თუ ის მაინც ბედავს და ხალხის ნების წინააღმდეგ მიდის, მაშინ ერთადერთი კანონიერი და მშვიდობიანი გზა რჩება — მისი შეცვლა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით. რაც შეეხება ამის თაობაზე დეპუტატ ხიდაშელის (რომელსაც ძალაუფლება აშკარად, თავში აქვს ავარდნილი!) თავხედურ განცხადებას — „კონსტიტუციონალიზმში უფასო გაკვეთილებს ჩავუტარებ ლევან ვასაძესო“ და, რომელსაც ჰგონია, რომ პარლამენტი ხელ შეუხებელია, რომ მისი დათხოვნა მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი — ბიუჯეტის დამტკიცება თუ არ ხერხდება ან მთავრობაშია კრიზისი, ძალიან ცდება. ტყუილად ჰგონია, რომ რახან ნაცებთანაა შეკრული, ამიტომ ეს პრობლემა არასოდეს არ დაუდგება, და თავიც ქუდში ექნებათ მას და მისთანებს. ხიდაშელის ქალს ავიწყდება, რომ ხალხს ხელეწიფება, გამოასწოროს თავისი შეცდომა და პარლამენტში გამძვრალი, არაქართული საქმის მკეთებელი დეპუტატები უკანვე გამოიწვიოს ან გამოყაროს — დემოკრატიულად (არჩევნებით) ან კინწისკვრით (იძულებით). თუ რომელს აირჩევს ამ ორი გზიდან ქართველი ხალხი, ეს, ხიდაშელისნაირი დეპუტატების სიჯიუტის ხარისხზე იქნება დამოკიდებული.

პარლამენტს, რომელსაც არც პატრიარქის ესმის და არც — ხალხის, და თავის ჭკუაზე იღებს კანონს, რომელსაც, თითქმის, მთელი მოსახლეობა ეწინააღმდეგება, შეუძლებელია სიტყვით შეაგნებინო რამე; ხალხის ასეთ „რჩეულებს“ და ამ „რჩეულების“ მიერ შერჩეულ მთავრობას, რომლებსაც აბსოლუტურად არ ანაღვლებთ არავინ, საკუთარი სკამისა და ხელფასის გარდა, რომლებმაც წარმოუდგენლად გაყვლიფეს ისედაც არაფრის მქონე ხალხი და მსოფლიოში ჯერ არგაგონილი სახელფასო დანამატები და პრემიები დაიკანონეს(!), ანუ ჩვენს ჯიბეში (ბიუჯეტში) ისე აფათურეს ხელი, რომ არავითარი სულიერი დისკომფორტი არ უგრძვნიათ და, რომლებიც მომავალი წლიდან კიდევ ერთხელ (და ისევ ათასებით!) იზრდიან თავისთვის ხელფასებს, გაჭირვებულ პენსიონერებს კი, რომლებსაც ჭეშმარიტი საარსებო მინიმუმის ნახევარი ოდენობის პენსიაც არ ეძლევათ, მხოლოდ ათ ლარს უმატებენ და ისიც ერთხელ(!), სიტყვით და ხელმოწერებით ვერაფერს შეავგნებინებთ და, ვერც საკუთარი თავის გადასაყენებელ ვადამდელ არჩევნებს დავანიშნინებთ!

ხიდაშელისნაირად მოლაპარაკე პარლამენტარებთან მხოლოდ ძალის ენით, ძალისმიერი მეთოდებით თუ მივაღწევთ რამეს (ძალისმიერში, კანონით დაშვებულ აქტიურ ზეწოლას, აქტიურ წინააღმდეგობას ვგულისხმობ და არა — შეიარაღებულს)! სხვა გამოსავალი არ არსებობს, ყველა სხვა გზა ბევრჯერაა ნაცადი და ხალხისთვის არც ერთს არ მოუტანია სასიკეთო შედეგი. არ თქვას ახლა ვინმემ — არჩევნებით ხომ მივაღწიეთ რაღაცას 2012-ის ოქტომბერშიო! სახელმწიფოში სამართლის დამყარება უკანა პლანზე გადასწიო, ხალხს ღირსება და ქონება არ დაუბრუნო, დამნაშავე ნაცებს შეეკრა, ღირსების და რწმენის შემბღალავი კანონები მიიღო, მოსახლეობის სამი მეოთხედი თვლიდეს, რომ მისი მდგომარეობა გაუარესდა (არჩევნებიდან 20 თვის შემდეგ!) და, ამ გაჭირვებული ხალხის დამშვიდებას შეურაცხმყოფელი ხერხებით შეეცადო — ხომ ხედავთ პატიმრები გამოვუშვით, ახლა აღარავინ გიჭერთ და წერა-კითხვის უფლებაც ხელუხლებელი გაქვთო, ამას თავს გასული ხელისუფლება გაბედავს მხოლოდ, თავგასულებს კი შესაფერისი ადგილი უნდა მიეჩინოთ.

ახლა, ხელისუფლების მიერ ნაცქოცური გადასახედიდან გაგებულ **ქართულ სტუმარ-მასპინძლობაზეც** უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ზღაპრული სუფრა თუ არ გავუშალეთ უცხოელ სტუმრებს, თურმე, ქართულ ადათ-წესს შევარცხვენთ; ქართველი კაცისთვის სტუმარი, მით უფრო, უცხო, ხომ „ღვთისაა“ და რატომ გიკვირთ ჩვენი მინისტრების სუფრას ჩიტის რძეც რომ არ აკლია, როცა უცხოელებს მასპინძლობენო. აი, ასეთი ჭკვიანი და ადათ-წესების დამცველი ხალხი გვყავს ხელისუფლებაში, და ხალხმა, თურმე, მორჩილად უნდა უსმინოს მათ თავხედობამდე მისულ ბრიყვულ კომენტარებს. მართალია, ქართველი კაცი თავს მოიქაჩლებდა ხოლმე სტუმრის წინაშე, რომ იტყვიან — ურიის ვალს აიღებდა და გადაყვებოდა სტუმარს ყურადღებით თუ პურმარილით, მაგრამ იგი საკუთარი ჯიბიდან ხარჯავდა ბოლო კაპიკს. პარლამენტია, მთავრობა თუ მეგობარია-საკრებულო, ყველანი ჩვენ ჯიბეებში, ანუ ბიუჯეტში(!) აფათურებენ უკონტროლოდ ხელებს, საკუთარ ჯიბეებში კი ხელი არც ჩაეყოფათ, ისე აქვთ გადავსებული **ხელფასებით, სახელფასო დანამატებით და პრემიებით.**

ამ საკითხზედაც რომ არ ითქვას გაკვრით მაინც, არც ეს შეიძლება (არადა, რამდენი რამ და ვინმეა გამენტარიდან, აუცილებელია: **„საჯარო სამსახურში თუ ხელფასები არ იქნება ადეკვატური (რამდენია ადეკვატური?! — ი.ლ.), თუ საჯარო მოხელეები, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირები, არ მიიღებენ პრემიებს, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება აბსოლუტურად უინტერესო (რა მითხარი?! — ი.ლ.) და მას დატოვებენ კომპეტენტური კადრები. მე ხელზე მაქვს 5 000 ლარი („ხელზე მაქვს“, იურისტი ამგვარად არ უნდა გვამცნობდეს შემოსავალს — ი.ლ.), მაშინ, როცა წლების განმავლობაში, სტრასბურგის სასამართლოში თვეში მქონდა 17-18 ათასი ლარი (აქ, მინისტრი აღარ უსვამს ხაზს იმას, რომ ეს არ იყო ხელზე აღებული თანხა — ი.ლ.), მაგრამ ვთვლი, ეს ის ხელფასია, რომელიც ღირს, რომ ვემსახურო სამშობლოს“** (აფერუმ წულუკიანის ქალობას, რა თავდადებული ყოფილა სამშობლოსთვის! როცა იუსტიციის მინისტრი, რომლის შემართებასაც აღფრთოვანებით შევყურებდით ყველანი არჩევნების შემდგომ პერიოდში, ამ საზომით უდგება სამშობლოს სამსახურს და თვლის, რომ 5 000 ლარი 18 000-თან შედარებით ბევრად ცოტაა, მაგრამ ამ თანხითაც ღირს სამშობლოს სამსახური, მაშინ ვისი და რისი იმედი უნდა გვქონდეს კიდევ?!). **ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩემთან მუშაობენ, არიან კვალიფიციურები, როგორც კი მათ არ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება, გადავლენ კერძო სექტორში“.** ე.ი. ადეკვატური ანაზღაურება თუ არ ექნა ადამიანს, ანუ დიდი ხელფასი და ერთი იმხელა სახელფასო დანამატ-პრემიები, თურმე, დავიღუპებით, არავინ არ მოისურვებს სამშობლოს სამსახურში ყოფნას (მის გარდა, ალბათ!) და ყველანი კერძო სექტორში გადაბარგდებიან. ჯერ ერთი, ვინა თქვა, რომ კერძო სექტორში უფრო მაღალი ანაზღაურება და უკეთესი პირობებია და, მეორეც, თუ გადავლენ, მაგას რა აჯობებს, გამონთავისუფლებულ ადგილებზე ახალ-ახალი ადამიანები დასაქმდებიან უმუშევართა არმიიდან, თანაც, დიდი სიამოვნებით! ახ, პროფესიონალების ნაკლებობას განვიცდით და იუსტიციის მინისტრს იმ რეფორმების განხორციელებაში შეეშლება ხელი, განსაკუთრებით, სასამართლო სისტემაში, რომლებმაც სამართლიანობის განცდაც კი ვერ დაგვიბრუნეს?! წართმეული ქონება, შელახული ღირსება, ციხეებში დაკარგული ჯანმრთელობა და სიცოცხლე ვისღა ახსოვს!

ზუსტად არ ვიცით, თუ რამდენი ათასი ლარი მიაჩნია წულუკიანს ადეკვატურ ანაზღაურებად, ანუ ისეთად, სამშობლოს სამსახურში ყოფნად რომ ღირდეს, და არც ის ვიცით, ხვალ 4 500-ს თუ მიიღებს ხელზე (ან ინფლაცია მოიმატებს), რას იზამს — დარჩება სამშობლოს სამსახურში თუ კერძო სექტორში გადაინაცვლებს, ოღონდ ის კი ვიცით, რომ სტრასბურგში მაღალ ანაზღაურებასთან დაკავშირებით ცოტათი ცულლუტობს ქალბატონი მინისტრი. არა, 17 000 და, შეესაძლოა, 18-იც, უთუოდ ექნებოდა მას, მაგრამ ხელფასიდან მნიშვნელოვანი დაქვითვის და ევროპის მაღალი ფასების გათვალისწინებით (საცხოვრებელზე, პროდუქტზე, ნივთებზე, მომსახურებაზე), სტრასბურგული ანაზღაურება დაახლოებით თბილისური 5 000-ის (ხელზე!) ეკვივალენტური გამოვა, შესაძლოა, ნაკლებიც! და კიდევ, სტრასბურგიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ, როცა იგი ალასანიას პარტიის წევრი გახდა, ანუ 2010 წლის 15 მაისიდან 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე (მთელი ორნახევარი წელიწადი!) მას არა თუ 17-18 ათასი, ალბათ, კაპიკიც არ ჰქონდა! და თუ ჰქონდა, მაშინ ბარემ ისიც გვითხრას, პარტიის წევრობაში ვინ და რამდენს უხდიდა! თუ შედარებაა, ამჟამინდელი შემოსავალი ოთხი(!) წლის წინანდელს, სტრასბურგისას კი არ უნდა შეადაროს მან, არამედ — თბილისურს, რაც მას გადეპუტატობამდე ორნახევარი წლის მანძილზე ჰქონდა!

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

რომელი პარტიისთვის რამდენი გაიმეტეს

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მაისში, ჯამურად 1 938 524 ლარის შემოწირულობა მიიღეს. როგორც პარტიების საქმიანობის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განაცხადა, ყველაზე მეტი შემოწირულება კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ განხორციელდა.

მისივე განმარტებით, კოალიციამ ჯამში 1 280 141 ლარის შემოწირულობა მიიღო. ოფიციალური ინფორმაციით, 271 149 ლარის შემოწირულება მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“; 279 468 ლარი — „ქრისტიან-დემოკრატებმა“; 50 635 ლარი — „საქართველოს გზამ“; 1 190 ლარი — „მერაბ კოსტავას საზოგადოებამ“; 13 258 ლარი — არასაპარლამენტო ოპოზიციამ; 5 400 ლარი — „ხალხის პარტიამ“, 16 867 ლარი — „ლეიბორისტულმა პარტიამ“, 4 165 ლარი — „მწვანეთა პარტიამ“, 16 200 ლარი — „ქართულმა პარტიამ“; 34 342 ლარი — საინიციატივო ჯგუფებმა.

ინტერპრესი

◎ განსჯა

სამშობლოს სამსახურს ხელფასი არ უნდა განსაზღვრავდეს!

ხელისუფლების თავგასულობა და მასთან დაპირისპირებულების ზოგიერთი მცდარი შეხედულება

(მესამე გვერდიდან)

ამ „გონებამახვილურ და პატრიოტულ“ მიგნებებთან ერთად კიდევ ერთი, ერთობ საინტერესო და მწარე ღიმილის მომგვრელი, ფაქტი გავიგეთ სახელფასო დანამატებსა და პრემიებთან დაკავშირებით. **თურმე, სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა რაღაც გარკვეული თანხით ფასდება და თავდაცვის მინისტრისთვის იგი 531(!) ლარს შეადგენს, რასაც „საიდუმლო დანამატი“ ჰქვია!** ცხადია, უფრო დაბალი რანგის მოხელეებისთვის იგი გაცილებით ნაკლები იქნება, მაგრამ უმეტესობისთვის, დარწმუნებული ვარ, 30 ვერცხლზე, უკაცრავად, 30 ლარზე ნაკლები არ იქნება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის მინისტრმა ყველას „გადაუჯოკრა“ თვითანაზღაურებაში — მხოლოდ დანამატის(!) სახით მან 83 000(!) ლარი მიიღო 2013 წელს, ანუ პენსიონერის წლიურ შემოსავალზე 46-ჯერ მეტი!

„ზრდილმა“ და „გონებაგახსნილმა“ ხიდაშელმა კიდევ ერთი მიზეზი დაასახელა, თუ რატომ უნდა გაეზარდოთ დეპუტატებს ანაზღაურება მომავალ წელს — **„ყველაფერთან (ანუ თავაუღებელ შრომასა და ხალხზე ფიქრში გათეენებულ ღამეებთან — ი.ლ.) ერთად, საშიშროების(!) ქვეშ ვართ გამუდმებით — სისტემატურად გვისდება თბილისსა და ქუთაისს შორის მანქანით მგზავრობა“-ო!** ჩვენი დიდი სირცხვილია, ასეთი სახიფათო და მავნე სამუშაო აქამდე რომ ვერ დავაფასეთ სათანადოდ, ამიტომ **წინადადება შემომაქვს, თავდაცვის მინისტრის „საიდუმლო დანამატის“ ანალოგიურად, დეპუტატებსაც დაენიშნოს „სახიფათო დანამატი“! ისე, იმდენი ჭკუა კი ეყო თავგასულ დეპუტატს, რომ პარლამენტის თბილისში არგადმოტანა, მისი და მისნაირების ნაცებთან ჩახუტებით განპირობებული, აქეთ არ გადმოგვაბრალა!**

ზემოთ მოყვანილ პასუხებს და ახსნა-განმარტებებს ხომ მოფიქრება უნდა, ამას ხომ მარტო განათლებით ვერ მიაღწევ, ამას ნიჭი უნდა, ნიჭი! და გაწყვეტილი შუბლის ძარღვი! ამისთანა „ხალხის რჩეულებს“ ხელმოწერებით შევაგნებინებთ ჩვენ რამეს?!

გულისტკივილით მინდა, აღვნიშნო ერთი, ჩემი აზრით, ყველაზე წესიერი და პატრიოტი ოპოზიციური ძალის პოლიტიკური გულუბრყვილობა (გულუბრყვილობა ხომ უაღრესად წესიერი ადამიანების დამახასიათებელი თვისებაა, ოღონდაც, პოლიტიკაში გამოუსადეგარი), რაც ამერიკა-ევროკავშირისთვის მიწოდებული, ჩატანილი(!) ინფორმაციის, უფრო ზუსტად, იქ გამართული შეხვედრების და მიღებული დაპირებების მნიშვნელობის გადაჭარბებულ შეფასებაში გამოიხატება. თავად ინფორმაციის მნიშვნელობაზე, ცხადია, არ მაქვს ლაპარაკი. მისი მნიშვნელობა იმ დროშიც კარგად ესმოდათ, როდესაც არც რადიო იყო და არც — ტელევიზია-ინტერნეტი. 200 წელზე მეტი ხნის წინათ ერთმა ჭკვიანმა კაცმა ზედმიწევნით ზუსტად დაასკვნა: **„ვინც ფლობს ინფორმაციას, ის მართავს მსოფლიოს“! მაგრამ დღეს, ინტერნეტის ეპოქაში, ვინღა დაატარებს დოკუმენტაციას თვითმფრინავით. პირად კონტაქტებს, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რამდენჯერ და რამდენთან მოხერხდება ეს ფიზიკურად წელიწადში? რა დრო და რა სახსრები გასწვდება ყოველივე ამას, რამდენად ოპერატიული და ნაყოფიერი იქნება ეს ძალისხმევა? ოპოზიციის მიზანი — გააშიშვლოს ხელისუფლების კრიმინალური ქმედებები მსოფლიო საზოგადოებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებით, ყველაზე უკეთ, სწრაფად და იაფად ინტერნეტით რომაა შეძლებელი, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება!**

ისე კი, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს და ვთქვათ, რომ ისინი, ვისთანაც ჩაგვაქვს ინფორმაცია, ჩვენზე უკეთ არიან ინფორმირებულები; ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც, ვინც საქართველოში გასატარებელ პოლიტიკას აყალიბებს, ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის! **მათ ჩვენზე უკეთ იციან, თუ ვინ ვინ არის საქართველოში (პარლამენტში, მთავრობასა და ოპოზიციაში) და ვინ რას სჩადიოდა ამ 20—25 წლის მანძილზე — ელიტარულ კორუფციას შეეხება საქმე, საკუთრების ხელყოფას, გახმაურებულ მკვლელობებს თუ ოპოზიციური პარტიების ლიდერების ჭეშმარიტ პოზიციას!** გერმანიის კანცლერის და სხვა მოკავშირე(!) სახელმწიფოების ლიდერების მოსმენებს არ თაკილობს ამერიკა (დანარჩენ მსოფლიოზე რომ არაფერი ვთქვათ), და ჩვენ მოგვერიდება თუ ტექნიკურად გაუჭირდება?! თუმცა, ერთიც არის, საქართველოს კურატორებს იმდენი ინფორმატორი ჰყავთ ყველა დონეზე, მათ მიერვე შერჩეულ, დაარსებულ-დაფინანსებულ და, შესაბამისად, მომზადებულ-ტრეინინგებგავლილ სახელისუფლებო წრეებში, პარტიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და მასმედიაში, რომ მოსმენები დიდად არც სჭირდებათ!

დასავლეთი, მართლაც რომ არ ყოფილიყო საქმის კურსში იმის თაობაზე, თუ რა უბედურება ტრიალებდა საქართველოში სააკაშვილის დროს, მაშინ მარტო იმ მასალის გავრცელებას ევროკავშირში, რომელიც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ჩაიტანეს იქ, წესით, დიდი სკანდალი უნდა მოჰყოლოდა და, სააკაშვილისთვის, სულ ცოტა, ზურგი უნდა ექცია ყველას ევროპა-ამერიკაში. მოხდა კი სრულიად საპირისპირო, აქეთ დაგვიქნიეს თითი — ხელი არ ახლოთ, საქმის აღძვრაც არ გაბედოთ, თორემ დედას გიტირებთ და, საერთოდ, ნაცბანდის წევრების პასუხისგებაში მიცემას შეეშვით, იცოდეთ, პოლიტიკურ დევნაში ჩაგითვლით და სახელსაც გაგიტეხთო. თავად სააკაშვილი კი დიდი პატივით შეიფარეს და საგანგებო მისიით დემოკრატიის გამავრცელებელ დესპანად მიავლინეს უკრაინაში! გამორიცხული არ არის, მრჩევლადაც მიუჩინონ(!) იგი 25 მაისს არჩეულ უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს, რათა მას ისეთივე „საიმართლის“ დამყარებაში დაეხმაროს, როგორიც საქართველოში დაგვიტოვა.

ამერიკა-ევროპის ამგვარ „დემოკრატიულ“ პოლიტიკას, ოპოზიცია იქ ჩასვლით და რამდენიმე სენატორსა თუ კონგრესმენთან შეხვედრებით შეცვლის?! განა ეს მიამიტობა არ არის? ვფიქრობ, ამერიკაში ხშირად მოსიარულე ქართველი პოლიტიკოსები, რომელთაც იქაური პოლიტიკოსების დახმარების იმედი აქვთ (საქართველოში სამართლიანი ცხოვრების დამყარებაში), ერთობ გულუბრყვილონი არიან, ანდა მათი მიზანი სულ სხვაა — ამერიკელებისთვის თავის მოწონება, რომ მომავალში, ეგებ, მათზედაც გააკეთოს ამერიკამ „სტავკა“!

1991 წლიდან საბჭოთა (იგივე, რუსეთის) იმპერიას თავი დავაღწიეთ, აღარა ვართ კოლონია, თითქოს, თავისუფლებიც ვართ და დამოუკიდებლებიც, დამპყრობელი რუსეთის ნაცვლად კი მხარში დემოკრატი მეგობრები გვიდგანან, ფულითაც გვეხმარებიან, იარაღითაც, არც შეღავათიან სესხებს არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ჩვენი ნეიტრალობა, დამოუკიდებლად არსებობა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — თუ ჩვენი დიდი მეზობლები — რუსეთი, თურქეთი და ირანი ამაზე შეთანხმდებიან, თავდაუსხმელობის გარანტიებს მოგვცემენ, არც მცოცავ ანექსიას განახორციელებენ და არც სხვა სახელმწიფოს, მაგალითად ამერიკას, მისცემენ ჩვენი ტერიტორიის სამხედრო პლაცდარმად გამოყენების ნებას. ამის გარეშე სრული უტოპიაა ჩვენს ნეიტრალობაზე ფიქრი! მოხდება ეს როდისმე? გეოსტრატეგიული მნიშვნელობის, ღვთისმშობლის წილხვედრ, წალკოტივით მშვენიერ საქართველოს ამის ფუფუნება არასოდეს არ ჰქონია თავისი არსებობის მანძილზე და ახლა, როცა დაუნდობელზე დაუნდობელი გახდა მსოფლიო, პირველ რიგში, დემოკრატიულად წოდებული მსოფლიო, როცა დღის წესრიგში ეროვნული სახელმწიფოების სახის წაშლისკენ, მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისკენ და მამათმავლობის აღზევებისკენაა მობილიზებული მთელი დასავლეთი, ვინ მოგვცემს ჩვენ გასაქანს. ეს გამორიცხულია! ამას არც სჭირდება ბევრი ლაპარაკი, განა ამის მოწმენი არ ვართ დღეს ყველანი?!

მაგრამ არის კიდევ ერთი ძველი, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან შობილი გამოთქმა: **„შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსო“.** იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადაპტირებას, რომ აი, ასეთმა, თითქოსდა, უცნაურმა გამოთქმამაც კი გაუძლო დროს. შეჩვეული „ჭირი“ შეუჩვეველ „ლხინს“(!) სჯობიაო, და როცა ლხინთან კი არა, უარეს ჭირთან გვაქვს საქმე, მაშინ შეჩვეული ჭირი ხომ უდავოდ აჯობებს შეუჩვეველს! თანაც, ყველაფერი შედარებითია, და ამ ჭირების გაზომვა—შედარებაც შეგვიძლია სულ ადვილად, ერთ კითხვაზე პასუხის გაცემით: რას მიაღწია კრემლისგან დამონებულმა საქართველომ საბჭოთა (იგივე, რუსეთის) კოლონიად ყოფნის პირობებში 70 წლის მანძილზე და რას — „გათავისუფლებულმა“ საქართველომ „დემოკრატი“ ამერიკის „მზრუნველი“ კალთის ქვეშ 10, თუნდაც 20 წლის მანძილზე. დაწვრილებით არ ჩამოვთვლი, რადგანაც ყველამ ვიცით და, დაწერითაც ბევრჯერ დაწერილა, თუ ბევრ უარყოფითთან ერთად რამდენი (გაცილებით მეტი!) დადებითი მოყვა რუსეთის მფარველობაში საქართველოს ყოფნას, რაც, უპირველესად, ქართველი ერის ფიზიკურ გადარჩენაში გამოიხატა, საქართველო აბსოლუტურად ყველა სფეროში (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანდაცვა, ცხოვრების დონე) მოწინავე და თითით საჩვენებელი სახელმწიფო გახდა და, რა პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მისი ხალხი „დამმონებელ“ რუსეთის მოსახლეობაზე უკეთესად ცხოვრობდა. ახლა, რას მივაღწიეთ იმპერიული რუსეთის კლანჭებიდან თავდაღწეულებმა და „დემოკრატ“ დასავლეთს თავშეფარებულებმა? **შეგვიძლია, თუნდაც, ერთი სფერო დავასახელოთ ზემოთ ჩამოთვლილიდან, სადაც წარმატებას მივაღწიეთ? სამწუხაროდ, არა! წარმატებას ვინ დაეძებს, ყველაფერში დავკარგეთ პოზიციები, „წინსვლა“ გვაქვს მხოლოდ მოსმენებში, მამათმავლობის დაკანონებაში, დაწყებით კლასებში ბავშვების ე.წ. სექსუალურად აღზრდაში და ეკლესიისთვის სახელის გატეხის მცდელობაში!**

დიდ გონებრივ დაძაბვას არ მოითხოვს დასკვნა, რომ **ისევ „შეჩვეული ჭირი“ სჯობია საქართველოსთვის,** მით უფრო, რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან არგუმენტსაც თუ მოვიშველიებთ: აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნება თუ გვიწერია ოდესმე, ეს მხოლოდ რუსეთის კეთილი ნებით იქნება შესაძლებელი და არა — დასავლეთის ყალბი შუმფოთებებით; მაშინ, როცა დასავლეთი თავს გვახვევს ჩვენთვის ორგანულად მიუღებელ „ღირებულებებს“, რუსეთში მიღებულია ის კანონები, რის მიღებასაც ჩვენი პარლამენტისგან ვითხოვთ და ვერ მიგვიღწევია (მოზარდთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვა, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოეთიდან დაფინანსებაზე და მათ საქმიანობაზე კონტროლის დაწესება, ეკლესიის დაცვა შეურაცხყოფისგან და სხვა), და მიღებული არ არის ის კანონები, რის გაუქმებასაც ვითხოვთ და ასევე ვერ მიგვიღწევია (ანტიდისკრიმინაციული კანონი; სტრატეგიული ობიექტების და მიწის უცხოელებზე მიყიდვის მკაცრად შეზღუდვა და სხვა)!

ყველაფერს, ჩვენთვისაც მისაღებს და აუცილებელს, რაც რუსეთში ხდება, არ ჩამოვთვლი, მაგრამ კარსმომდგარი ადგილობრივი არჩევნების გამო იქაური არჩევნების ორ ფაქტზე მაინც უნდა ითქვას: დიქტატორ პუტინის ხელში არც ამომრჩეველთა სიებია გაბერილი და მეტი გამჭვირვალობისთვის თითოეულ საარჩევნო უბანზე 2-2 ვებკამერაა (და, არა ვიდეოთვალი!) დამონტაჟებული ხოლმე, რისი მეშვეობითაც ყოველ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი თვალით დააკვირდეს არჩევნების მიმდინარეობას ნებისმიერ უბანზე სახლიდან გაუსვლელად! თუ ეკონომიკურ მხარეზეც შევჩერდებით, უდავოა, რომ ქართული ეკონომიკისთვის (არა მხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის!) უმნიშვნელოვანესია სწორედ რუსეთის ბაზარი, და არა — პრობლემების შემცველი ევროკავშირთან ასოცირება.

ის ფაქტორები, რომლებიც ერის სულიერ და ხორციელ არსებობას განაპირობებენ, უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელი და, ვფიქრობ, ჩვენი ხსნაც დღევანდელ გლობალურ ორომტრიალში, მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ნორმალურ კავშირშია, და არა — მასთან დამღუპველ დაპირისპირებაში. აქედან გამომდინარე, საჭიროა, აუცილებელია(!) რუსეთთან საერთო ენის გამონახვა და არა მისთვის ენის გამოყოფა — საქართველოში ნატოს რაკეტების განლაგებაზე ფიქრი!

არ შეიძლება ერთი რამის დავიწყება — სულ უნდა გვახსოვდეს(!), თუ რანი ვიქნებოდით დღეს, ერეკლე მეფეს რუსეთის ნაცვლად თურქეთი ან ირანი რომ აერჩია! არა მგონია, ვინმემ თქვას, რომ ერეკლეს ორიენტირი შეეშალა. ახლა რატომ გვეშლება?

იაკობ ლეჟავა

◎ ინფორმაცია

დააფასებენ კი საქართველოს პროგრესს?

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნატოს მომდევნო სამიტზე მოხდეს შესაბამისი დაფასება და შეფასება საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესის. — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებს ანგელა მერკელის გუშინდელი განცხადების კომენტირებისას განუცხადა, რომლის მიხედვითაც, საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი ნატოს მომდევნო სამიტის თემა არ იქნება.

— მიმაჩნია, რომ მოკავშირეები ამჟამად არიან იმ ეტაპზე, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როგორ მოხდეს დაფასება და სათანადო შეფასება იმ უზარმაზარი პროგრესის, რომელიც აქვს საქართველოს ნატოს წევრობის გზაზე ყველა აუცილებელი კრიტერიუმის დაკმაყოფილების მხრივ. კვირის ბოლოს იქნება შეხვედრა, სადაც მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები უელსის სამიტთან დაკავშირებით იმსჯელებენ. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შესაბამისი დაფასება და შეფასება საქართველოს მნიშვნელოვანი პროგრესის, — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

◎ მერობის კანდიდატი

ერთ წელიწადში თბილისის აყვავებას მოსახლეობას ნურავინ დაჰპირდება

რატომ იქნება გიორგი ლაღიძე გონიერი მერი?

№13, რომელიც ბევრისთვის არცთუ სასურველ იღბალთან ასოცირდება, გიორგი ლაღიძეს არ აშინებს. „მომავალი საქართველოს“ ლიდერი საინტერესო მომავლისთვის ემზადება და თბილისელებს საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს მერად. შეძლებს თუ არა ის დედაქალაქელთა სიმპათიის მოპოვებას, ამას 15 ივნისი გვიჩვენებს. ჩვენ კი შევეცადეთ მასთან გვესაუბრა იმ ამბიციებზე, რამაც თბილისის მერობის სურვილისკენ უბიძგა 1-პროცენტიანი (არც კი) პარტიის ლიდერს.

— ბატონო გიორგი, ინტერვიუზე ადვილად შევთანხმდით, თქვით, დღეს შედარებით თავისუფალი ვარო. ასე დატვირთული რეჟიმი გაქვთ საარჩევნო კამპანიის გამო?

— ნამდვილად, გადატვირთული რეჟიმი მაქვს. ინტენსიური შეხვედრები გვაქვს მოსახლეობასთან: დღეში 3-4-ჯერ ვხვდები მათ. ეს საკმაოდ შრომატევადია, თუმცა, ვაპირებ, რომ კიდევ უფრო გავაქტიურდე დარჩენილ წინასაარჩევნო პერიოდში. მე ვმონაწილეობდი 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ამიტომ საარჩევნო კამპანიის ჩატარების საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს.

— და ამიტომაც ამჯერად გამორჩეულად საუბრობთ იმ დისკრიმინაციულ გამოვლინებებზე, რაც თქვენს მიმართ ხორციელდება.

— წლევანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არის უკიდურესად ტენდენციური არჩევნები, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატებს შორის მიმდინარეობს არათანაბარი საარჩევნო კამპანია. ჩვენ არ ვსარგებლობთ უფასო სარეკლამო დროით, ბიუჯეტიდან ერთი თეთრის დაფინანსება არ მიგვიღია, ამაზე საუბარიც ზედმეტია... ჩვენი შეხვედრები ამომრჩეველთან შუქდება ძალიან მწირად...

— როგორც არაკვალიფიციურ სუბიექტს, თქვენ ეს სიკეთეები არ გეკუთვნით. ამის შესახებ თავიდანვე იცოდით და მაინც მოიწადინეთ ბრძოლა მერობისთვის, რატომ?

— ვიცოდი, მაგრამ თუ ასე დაგვჩაგრავდნენ, არ მეგონა. მე იმიტომაც ვახსენე წინა არჩევნები, რომლებშიც ვმონაწილეობდი. 2010 წელს გაცილებით უკეთესი სიტუაცია იყო, იმის მიუხედავად, რომ მაშინ სააკაშვილის რეჟიმი მძვინვარებდა. თითქმის ყველა არაკვალიფიციური სუბიექტის ღონისძიება შუქდებოდა ჯეროვნად, ყველა მედიასაშუალებები, მათ შორის ელექტრონული მედიითაც, ვმონაწილეობდით წამყვან თოქ-შოუებში... ასე რომ, ეს პრობლემა არ გვქონია. ახლა რადიკალურად შეცვლილი ვითარებაა.

— თუ მედიასაშუალებები გბლოკავენ, ეს ხელისუფლების დაკვეთაა?

— რა თქმა უნდა, ხელისუფლების დაკვეთაა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის არის გარიგება, რათა გადაინაწილონ პირველ-მეორე ადგილები (ალბათ, მესამე ადგილზე შეეცდებიან ბურჯანაძის გაყვანას). ასე თუ გაგრძელდა, უბრალოდ, ფორმალურად გაიფორმებენ მათთვის სასურველ შედეგებს 15 ივნისს.

— გიორგი ლაღიძის პარტია რამდენად საშიში ძალაა ხელისუფლებისთვის; რამდენი პროცენტი აიღეთ თქვენ იმ არჩევნებში, რომლებშიც მონაწილეობდით?

— მოდით, ასე გეტყვით. კი, ბატონო, მე რეალობას თვალს ვუსწორებდა ადექდან გამომდინარე გესაუბრებით. ჩვენ მაშინ ვიყავით ახალი პოლიტიკური ძალა, ასე ვთქვათ, ასპარეზზე მაშინ გავედით. ჩვენთვის აუცილებელი იყო არჩევნებში მონაწილეობა, გამოცდილების მიღება, საკუთარი თავის შეფასება და შეცდომებზე სწავლა. ჩვენ მაშინ ერთი პროცენტიც ვერ ავიღეთ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარტია არ ვითარდება და პროგრესს არ განიცდის. ჩვენ ეს პროგრესი ნამდვილად გვაქვს, რადგან სულ ვმუშაობთ სოციალურ პროგრამებზე, მთელ რიგ პრობლემებზე და ბევრისგან განსხვავებით მხოლოდ არჩევნების წინ არ ვაქტიურობთ ხოლმე. ამიტომ მგონია, რომ ახლა უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ. თუმცა, არის უმთავრესი პრობლემა, რაზეც ზემოთ უკვე გესაუბრეთ. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი პროგრამა, სწორი ხედვა, რომელიც ამომრჩევლამდე უნდა მიიტანო. საეთერო გაშუქების გარეშე ეს წარმოუდგენელია.

სხვათა შორის ვაპირებ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მივაწოდო ინფორმაცია აქ არსებული წინასაარჩევნო დისკრიმინაციული გარემოს შესახებ, უნდა შევხვდე NDI-ის დირექტორს და ყველაფერი მოვახსენო. ეს არ არის საარჩევნო გარემო!

— ნუთუ ისეთი დაბრკოლება და ბარიერი ხართ ხელისუფლებისთვის, რომ თქვენს წინააღმდეგ ასე აქტიურად მუშაობენ და გბლოკავენ?!.

— უკაცრავად, მაგრამ ხელისუფლება ძალიან შეშინებულია. „ქართულ ოცნებას“ აშინებს არა კონკრეტულად გიორგი ლაღიძე, არამედ ის დაბალი რეიტინგი, რომელიც თავად აქვს. არ უნდათ, ოპოზიციურმა პარტიებმა წაიღონ ხმები. მისი რეიტინგი კატასტროფულად სწრაფად ეცემა და ეს ყველაზე კარგად სწორედ მან იცის.

— თქვენ ახსენეთ ოპოზიცია, რომელიც ხმებს ისედაც დაქსაქსავს, თქვენთან ერთად თუ უთქვენოდ. რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ან კოალიციასთან გაერთიანებაზე არ გიფიქრიათ, თუ რეალური ბრძოლისთვის ემზადებოდით?

— სხვათა შორის, მე განვაცხადე, რომ ჩაგვეტარებინა ოპოზიციურ ძალებს შიდა პრაიმერი. თუ სხვას ექნებოდა ჩემზე მეტი რეიტინგი, მე ხელს არ შევუშლიდი, პირიქით... თუმცა, დაქსაქსულობა, სამწუხაროდ, არის ქართული ოპოზიციის მტერი. ზოგიერთებმა ვერ დაძლიეს ამპარტავნება. ჩვენ ამის თაობაზე ყველა პარტიასთან გავმართეთ კონსულტაციები, მაგრამ უშედეგოდ.

— ბატონო გიორგი, საარჩევნო დაპირებები ყველა პარტიას აქვს აბსოლუტურად კარგი, არ ვიცი, ვის რა უნდა ჰქონდეს ასეთი დაპირებების საწინააღმდეგო, მათ შორის თქვენისაც. პრინციპში, ყველა ერთმანეთსა ჰგავს. რითი არის გამორჩეული თქვენი დაპირება?

— ყველას დაპირებები არის კარგი, მაგრამ... ყველამ კარგად იცის, თუ რა მძიმე სოციალური ფონი არის ქვეყანაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა უმუშევრობასთან დაკავშირებით. ჩვენი საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტი სწორედ ეს არის. სიღარიბის დაძლევისათვის არაფერს რომ არ აკეთებს ხელისუფლება, ფაქტია. მაგალითისთვის მოგიყვანთ: 800-მილიონიანი თბილისის ბიუჯეტიდან მხოლოდ 22 მილიონი არის გამოყოფილი უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. ამის შემდეგ ვინმეს სჯერა, რომ მათი პრიორიტეტი არის უმუშევრობის დაძლევა? ტყუილად ნურავინ შეჰპირდება ხალხს, რომ ერთ წელიწადში ააყვავებს თბილისს, ეს გამორიცხულია. ეტაპობრივად უნდა გაჯანსაღდეს სოციალური მდგომარეობა. ასევე შესაძლებელია საწვავზეც და ტარიფებზე ფასის დაწევა. თვითმმართველი ქალაქის არჩეულ მერს საკმარისი ბერკეტები გააჩნია, ამიტომაც ვფიქრობ, რომ გონიერი მერი შეძლებს პრობლემების გეგმაზომიერად მოგვარებას.

— ძალიან ხშირად ახსენებთ სიტყვას „ჩვენ“. თქვენ მეტ-ნაკლებად გიცნობთ საზოგადოება, მაგრამ არ ვიცით, ვინ არიან თქვენი გუნდის წევრები და ზოგადად, რა პარტიული რესურსი გაქვთ?

— ჩვენ წარვადგინეთ საკრებულოში 55-კაციანი პარტიული სია. ჩვენ ამ ეტაპზე მაჟორიტარები არა გვყავს. მოგეხსენებათ ეს ფინანსებთან არის დაკავშირებული. თუმცა, რეგიონში კანდიდატები გვყავს, მათ შორის მაჟორიტარები. ვფიქრობ, რომ ბევრ რეგიონში მივაღწევთ წარმატებას.

— მაგალითად, სად?

— ლაგოდეხში. ჩვენ იქ საკმაოდ კარგი კანდიდატი გვყავს. გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ.

— ესე იგი, თქვენც ფიქრობთ, რომ მთავარია არა გამარჯვება, არამედ დაფინანსების მოპოვება?

— დიახ, ჩვენ ვიბრძვით, ჩამოვყალიბდეთ კვალიფიციურ სუბიექტად. ბუნებრივია, პარტიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ფინანსებს და რომ გითხრათ, ეს არ არის ჩვენი ბრძოლის აზრი-მეთქი, ტყუილი იქნება. თუმცა, პირადად გიორგი ლაღიძისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, პარტიამ აჩვენოს წინსვლა.

— ნული მთელი და რაღაც პროცენტებიდან რამდენ პროცენტამდე... როგორია თქვენი გათვლა; და თუ იცით რაიმე თქვენი რეიტინგის შესახებ?

— თუ ამ უფინანსობის და ჩაგვრის პირობებში ვაჩვენეთ მცირეოდენი წინსვლა, ესეც კარგი შედეგი იქნება. კონკრეტული ციფრები ნამდვილად არ ვიცი. რაც მეტი იქნება, მით უფრო კარგია. თუმცა აქვე მინდა, გითხრათ, რომ არჩევნების გაყალბება არ ხდება მაინცდამაინც 15 ივნისს, გაყალბება უკვე დაწყებულია. მაგალითად ხელთ მაქვს ინფორმაცია, რომ გარდაბნის რაიონში, სადაც არაქართული მოსახლეობაა, დადიოდნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და ემუქრებოდნენ ხალხს, თუ ხმებს არ მოგვცემთ, მიწებს ჩამოგართმევთ და აქედან გაგყრითო. ეს ხომ არის ამომრჩეველზე ზემოქმედება?

მაგალითად, ლაგოდეხში, სოფელ კაბანში, გამგებელი იყო ნაციონალური მოძრაობის კადრი ჯემალ ნიაზოვი, რომელსაც ამ ხელისუფლებამ აღუძრა სისხლის სამართლის საქმე (თუ არ ვცდები, შემდეგ გირაოთი გაათავისუფლეს). დღეს კი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი არის მისი სიძე, ხოლო ჯემალ ნიაზოვი არის შტაბის ხელმძღვანელი. აი, ეს არის დღევანდელი რეალობა. ეს იყო მოსახლეობის დაკვეთა?! ნამდვილად, არა! მართალია „ოცნებას“ ძალადობა არ ახასიათებს, მაგრამ ბევრი „უზნეობა“ გადმოიტანა ნაციონალური მოძრაობიდან. ამას ნამდვილად არ მოველოდი...

— ბატონო გიორგი, ასე კარგად გაქვთ გათავისებული რეალობა, და მაინც რატომ გაგიჩნდათ ამბიცია, გახდეთ თბილისის მერი?

— არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა — ამის ამბიცია კი არ გვაქვს, არამედ, გვინდა, მოვიდეთ ქართულ პოლიტიკაში მყარად. ამისთვის კი აუცილებელია არჩევნებში მონაწილეობა...

— თქვენ საზოგადოება გიცნობთ ძირითადად ბრიფინგებიდან, ეს იყო წინა ხელისუფლების დროს თუ ახლა. იბრძოდით სოციალური თემების, რაღაც პრობლემების გამო და ა. შ. თუ გამოგივიდათ რამე საქმე, ან მიაღწიეთ შედეგს?

— კარგი კითხვაა. ახლავე ჩამოგითვლით, რას მივაღწიეთ. ლილოს ბაზრობაზე სალარო აპარატები რომ ვერ დადგეს, ეს ჩემი დამსახურებაა. რა თქმა უნდა, მე არ ვუკარგავ ღვაწლს ლეიბორისტებსა და ლილოს ბაზრობაზე დასაქმებულებს, მაგრამ, ინიციატორი მე ვიყავი. მეორე — ე. წ. „ატსტუპნიკების“ თემა, ეს ხალხი დაახლოებით 50 ათასია. 2012 წლის იანვრიდან ჩემი ბრძოლა რომ არა, ქუჩაში აღმოჩნდებოდნენ. არადა, დღემდე ისინი ვერავინ გამოყარა. ბევრ კონკრეტულ ბინათმშენებლობას ჰქონდა პრობლემა, რომელსაც დავეხმარე... მე არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც არჩევნებზე ახსენდება მოსახლეობა.

— თქვენ პროფესიით იურისტი ხართ?

— დიახ, და ჩემი გუნდიც ძირითადად ამ პროფესიის ადამიანებით დავაკომპლექტე. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მოვიგებ თუ არა არჩევნებს, ადამიანების დასახმარებლად ბრძოლას მაინც გავაგრძელებ. ეს არის მნიშვნელოვანი და ხალხმაც აქედან გამომდინარე უნდა გააკეთოს არჩევანი!

— წარმატებებს გისურვებთ!

ესაუბრა
თეა მოსია

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ვერ გავიგე, რახან „ოცნება“ არ მუშაობს, ნაციონალებს რატომ უნდა მივცე ხმა?

● ნაციონალების წისქვილს, რომ მივაშარდო, მათ წისქვილზე წყლის მიშვებაში ხომ არ ჩამეთვლება?

● ჩინოვნიკებს რომ მიშას ფოტოები ეკიდათ კაბინეტებში, ახლა ვისი სურათები უკიდიათ?

● გორი ისე დაისეტყვა, რომ epple ლოგოდ მოკბეჩილი ბანანის შერჩევას აპირებს...

● მინდა, რომ წვიმა იყოს ჭექა-ქუხილით. ელვის დროს მაინც ბრწყინდება ხოლმე საქართველო.

● სოციალურმა ქსელებმა აშკარად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. ჯერ ის რად ღირს, რამდენი ოჯახი შეიქმნა (პრინციპში უფრო მეტი ოჯახი დაანგრია. ვიღაცას გამორთვა დაავიწყდა და მეორე ნახევარმა ნახა თავისი რომეო რა დღეშია, ანდა მთლა უარესი, მის დეზდემონას სად დარჩა პლატოკი). ნუ, მე ვთვლი სიკეთე მაინც მეტი აქვს. თუნდაც კაი ტიპად გინდა წარმოჩინდე, ადგები დადებ ვივალდის უვერტიურებს და ვიღაც იფიქრებს, რა გემოვნებიანიაო. არადა, ის პროსტო დადე, სინამდვილეში სამარშრუტო ტაქსების ბაიათები გაქვს ჩართული და „არ დაიდარდოს“ აქტიური მსმენელი ხარ. ისეთი აქტიური, რომ რეკავდა რადიოში, მაყვალას, ჟუჟოს, ენძელას და ჯაყოს უძღვნი „სამი დალიეს“ და დიჯეი უშანგის მაგრა გვიყვარხარო, ეუბნები. აქ შეგიძლია ხაშნაჭამიც (ბლომად ნივრით) დაჯდე შენ გემოზე, აბოყინო და მაღალი მოდის კვირეულის პიკანტური დეტალები ისე განიხილო, თითქოს ბებია ჯაკუზში გყავდეს დამხჩვალი და შოკმანჟე—ბლომანჟეზე ხარ გაზრდილი. ჰო, დაბადების წელი არ უნდა მიუთითო. აი თვე და რიცხვი კი აუცილებლად უნდა დაწერო, რომ მერე გრძელი მადლობაااა (რაც შეიძლება სვეცკურად) და გულის სმაილიკი მიახატო მილოცვებს. სურათები ბევრი უნდა დაყარო. განსაკუთრებით სუფრაზე რომ ხარ. თუ თბილისელი ხარ, სკოლაც უნდა მიაწერო, თუ არ ხარ და გიტყდება, „აქ არ დამიმთავრებიათიც“ იოლას გამოხვალ. მოკლედ ჯეიმს ბონდობას და მონიკა ბელუჩობას არაფერი უდგას წინ. მართლა მაგარი გამოგონებაა სოციალური ქსელი.

● ერთადერთი ელექტორატი, რომელიც დედაბუდიანად მიდიან არჩევნებზე ღნაც სექტაა. ახლა ჩაიხედეთ გულებში და ჯანმრთელმა ტიპებმა აღიარეთ საკუთარ თავთან, რომ პოტენციური ნაციონალები ხართ თქვენი პასიურობით. ირწმუნეთ ჭეშმარიტების-მეთქი ვერ მოგიწოდებთ, რადგან არავისზე არ ამომდის მზე და მთვარე. უბრალოდ მყავს ჩემი ფავორიტი (მივალ და შემოვხაზავ). არადა ასარჩევების მეტი რაა გემოვნების მიხედვით: მეურნე კაცი გინდა, თბილისელი კაცი, პროსტა კაცი, ძალათ კაცი, ქართველი ქალი, ჩვენებური ჟირინოვსკის ქალი, სატელიტი ნაცის დ.ა.შ. ის კი არა და, ხმა ღვთისაც კია. მართლა არ მესმის, რატომ უნდა აარჩიო თუნდაც ყველაზე ნაკლებად მიუღებელი? ამით ხომ ყველაზე მიუღებელ ბოროტებას ვუწყობთ ხელს!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ვარაუდი

„თუ „ქართულმა ოცნებამ“ სისუსტის იმიჯი არ მოიშორა, მომავალში ბევრი პრობლემა გაუჩნდება“

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების თავისებურებებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— ბატონო რამაზ, არჩევნებამდე ორიოდე კვირა დარჩა, როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას?

— წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება იმის მიხედვით იქნება სხვადასხვანაირი, ეტალონად რას აიღებ. ძალაუნებურად, ჩვენ გვიწევს წინასაარჩევნო პერიოდის უახლოეს პერიოდთან, ანუ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს არსებულ ვითარებასთან შედარება. ამ ფონზე უდავოდ იგებს დღევანდელი მდგომარეობა. წინასაარჩევნო გარემო გაცილებით უკეთესია.

ძალადობის ელემენტები, რაც წინა ხელისუფლების პირობებში დაუფარავად იყო, ახლა არ არის ან თუ არის, თავად ხელისუფლების მხრიდან ხდება კრიტიკის საგანი. ახლა ასეთი მომენტები იმდენად ცოტაა, რომ ძალადობის პარამეტრმა ანეკდოტური ხასიათიც მიიღო. ვაკის „ლიტერატურულ კაფეში“ მომხდარი ჩხუბი არანაირ კავშირში არ არის საარჩევნო პროცესთან, არც შინაარსით და არც მოქმედი პირებით, ისინი საარჩევნო პროცესის აქტიური სუბიექტები არ არიან, მაგრამ შეფასება მიიღო საარჩევნო პროცესის კონტექსტში. ეს ნიშნავს, რომ იმდენად მცირეა ძალადობის ფაქტები, რომელიც კონპრომეტაციას გაუწევდა ამჟამინდელ საარჩევნო პროცესს, რომ ასეთმა შემთხვევამაც კი ზოგიერთებს საარჩევნო კონტექსტში განხილვაც დააწყებინა. მათ შორის უცხოელებსაც. რაც უნდა ღიმილის მომგვრელი იყოს, ეს თავისთავად პოზიტიური რამ არის. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ძალადობა ცუდია, მაგრამ ეს შემთხვევა რომ არჩევნებს არ უკავშირდებოდა, ფაქტია.

ისიც ფაქტია, რომ ახლა მედია მაქსიმალურად თავისუფალია. თუ რომელიმე მედიას ვისიმე გავლენა ეტყობა, ეს ნამდვილად არ ატარებს სახელისუფლო გავლენის ნიშნებს. პრაქტიკულად შეუფერხებლად არის მოწოდებული ინფორმაცია ხელისუფლების სხვადასხვა ოპონენტებზეც. თუმცა, ამ მხრივ პრეტენზიები აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას, მაგრამ ეს პრეტენზიები, როგორც თავად ნინო ბურჯანაძემ ბრძანა, არ შეედრება იმ პრეტენზიებს, რაც წინასაარჩევნო პერიოდში „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს ხდებოდა. უნდა გვქონდეს იმედი, რომ 15 ივნისს მოქალაქეებს თავისუფალი არჩევანის საშუალება ექნებათ. თუმცა, ხარვეზიანი ეს არჩევნებიც იქნება, რამდენადაც წინა ეტაპზე დაშვებული საკანონმდებლო ხარვეზები ამ ეტაპზე არ გამოსწორებულა.

— სამწუხაროდ, არჩევნებისთვის საფუძვლიანად არც საარჩევნო სიები გადამოწმებულა, ვერც ბიომეტრული პასპორტების დამზადება მოესწრო, რაზეც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ოპოზიციაში მყოფი „ქართული ოცნების“ ლიდერები ხშირად და საფუძვლიანადაც საუბრობდნენ. რა შეიძლება ვიფიქროთ, ამის გასაკეთებლად ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არ ჰქონდა, თუ ამის გაუკეთებლობის არგუმენტები, რაზეც ხელისუფლებამ ისაუბრა, თქვენთვის მისაღებია?

— მსჯელობისთვის ავიღოთ ორივე ვარიანტი — პოლიტიკური ნებაც და უნარიც. თუ დავაკვირდებით, რაშიც ხელისუფლებას ნება ჰქონდა, მან ოპერატიული მუშაობის უნარი გამოავლინა. ამ თვალსაზრისით, ერთი შეხედვით შეიძლება მას საქმის კეთებისათვის არასაკმარისი პოლიტიკური ნების უქონლობა დავდოთ ბრალად. მაგრამ, სამწუხაროდ, ვხედავთ იმას, რომ სადაც ხელისუფლებისთვის ტემპს, ოპერატიულობას სასიცოცხო მნიშვნელობა ჰქონდა, ეკონომიკურ ცვლილებებში, ტარიფების შეცვლაში, ხელისუფლებამ ოპერატიულობა ვერ გამოამჟღავნა. სხვადასხვა დაპირებების შესრულებაში პროცესი ნელა მიდის. ასე რომ, ჩემი აზრით, აქაც ოპერატიულად მოქმედების უნარის პრობლემაა, ვიდრე ნების.

— აშკარაა, რომ საზოგადოებაში პოლიტიკური გუნდების მიმართ პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები ისე ერთმნიშვნელოვნად არ არის გადანაწილებული, როგორც ეს 2012 წლის 1 ოქტომბრის წინა პერიოდში იყო. გარკვეული ცვლილებები საზოგადოებრივ განწყობებში მოხდა. როგორ დაახასიათებდით ამ ცვლილებებს?

— გავიხსენებდი ბოლო პერიოდის ხშირად გამოყენებად ფორმულას, რომ ძველი სახელისუფლო პარტია ბევრისთვის კვლავაც მიუღებელია, ახალმა განვლილ პერიოდში იმედები გაუცრუა და ორი ალტერნატივის შემდეგ დგება მესამის ძიების საკითხი. მესამე, როგორც წესი, არის ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში ჯერ არ ყოფილა და ამდენად მხოლოდ იმედებთანაა დაკავშირებული და მათ გაცრუებაზე შეუძლებელია საუბარი.

— არის კი ასეთი პოლიტიკური ძალა დღევანდელ საქართველოში? მხედველობაში მაქვს ის, ვისაც შეიძლება არჩევნებში გამარჯვების შანსი ჰქონდეს...

— ასეთი პოლიტიკური ძალა არ არის, მაგრამ შემოთავაზებულია რამდენიმე ალტერნატივა — ბურჯანაძისა და კუკავას ჯგუფების. ბურჯანაძე და მისი გუნდის ნაწილი ხელისუფლებაში ნამყოფია, მაგრამ მათთან დაკავშირებით პასუხიმგებლობის თემა, ან იმედი გაუცრუეს, ან ისეთები იყვნენ, როგორც „ნაციონალები“, ამ გუნდის ფიგურებს ასეთი პოლიტიკური წარსული არ ამძიმებს. მეჩვენება, რომ მესამე ძალის ძიების განწყობილებების მქონე ამომრჩეველი ამ არჩევნებზე მეტია. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებთან შეხვედრას, მათთან მჭიდრო ურთიერთობას. სიმართლე გითხრათ, როგორ მიდის ეს პროცესი, არ ვიცი, ვინაიდან მედიისაგან მიღებული ინფორმაციით მიჭირს მსჯელობა. როგორც წესი, ადამიანებთან ურთიერთობა ეკრანზე არ ჩანს ხოლმე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩევნების შედეგები უფრო პლურალისტული იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ იმ თვალსაზრისით, რომ 2012 წლის არჩევნების შედეგები გახლდათ პოლიტიკური სურათის დეფორმირებული ვარიანტი. კერძოდ, „ნაცმოძრაობა“ წამყვანი პოლტიკური ძალა ნამდვილად არ იყო 40%-იანი მონაცემით. მაშინვე ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მათ რეალურად 10% ჰქონდათ. სასურველია, რომ ახლანდელი სურათი დაემთხვეს ხალხის განწყობილებას და იმას, თუ რა მხარდაჭერა აქვს თითოეულ პოლიტიკურ ძალას. ჩემი აზრით, ამის შანსი ამჟამად მეტია.

— ანუ, მოახლოებული არჩევნების მთავარი ინტრიგა ისევ ასე გამოიყურება — ვინ იქნება ხელისუფლების მთავარი ოპონენტი — „ნაცმოძრაობა“ თუ რომელიმე მესამე ძალა?

— დიახ, მთავარი ინტრიგა იქნება, ვინ იქნება ხელისუფლების მთავარი ოპონენტი. უფრო ზუსტად, იქნება თუ არა ეს „ნაცმოძრაობა“. პრემიერმა კოჰაბიტაციის დასრულების შესახებ განცხადება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გააკეთა. ეს იყო ზოგადი მინიშნება ყველასთვის, რომ ამ არჩევნების სურათმა „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლების მთავარ ოპონენტად არ უნდა დატოვოს.

„ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლებას ბევრი პრობლემა გაუჩინა. მე ერთ-ერთს გავუსვამდი ხაზს - ძირითადი პრობლემა ის არ არის, რომ სასამართლოები „ნაციონალებისთვის“ სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებენ ან პროკურატურა არაეფექტიანად იძიებს მათ საქმეებს და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, ძირითადი პრობლემა, რაც „ნაციონალებმა“ „ქართულ ოცნებას“ გაუჩინეს ისაა, რომ რახან კოალიციას „ნაციონალების“ გასამართლება გაუჭირდა, შეიქმნა „ქართული ოცნების“ სისუსტის სტერეოტიპი. ეს ძალზე სახიფათო სტერეოტიპია, რადგან ამომრჩეველს სუსტი არ უყვარს. ასე რომ, სისუსტის იმიჯი, რომ ხელისუფლებას რაღაცეები არ შეუძლია, ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდია. თუ „ქართულმა ოცნებამ“ სისუსტის იმიჯი არ მოიშორა, მას ალბათ, მომავალში ბევრი პრობლემა გაუჩნდება.

— საქსტატის მონაცემებით, საქართველოში ყოველი მე-5 ღარიბია, ყოველი მე-12 - ღატაკი. ასეთ რთულ ეკონომიკურ და სოციალურ ფონზე რამდენად ადეკვატურია ძირითადი პოლიტიკური აქტორების საარჩევნო კომპანიები და რამდენად შეესაბამება იგი იმ ხალხის ინტერესებს, რომლებიც საარჩევნო ყუთებთან 15 ივლისს უნდა მივიდნენ?

— ეს სურათი ერთ და ორ წელიწადში შექმნილი სურათი არ არის. ის კი არა, „ნაცმოძრაობის“ მიერაც არ არის შექმნილი. „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდმა ცოტა გაამძაფრა ეს ფონი, თორემ ჩვენ 25 წელია, მოგვდევს სიღატაკის დამღა. რაც შეეხება სისწორეს, მე მიჭირს იმ კანდიდატებზე საუბარი, რომლებიც წამოყენებული არიან რეგიონებში. როგორც წესი, ისინი ადგილობრივი მოსახლეობისათვის უფრო ცნობილი პირები არიან. როგორც ჩანს, თბილისში დასახელებულ კანდიდატებში „ქართულმა ოცნებამ“, უფრო ზუსტად ივანიშვილმა, ეს გაითვალისწინა და წამოაყენა მკაფიოდ გამოკვეთილი მეურნე — ნარმანია, სწორედ ეკონომიკაში ჩახედული კაცი იმ ვარაუდით, რომ დედაქალაქის ეკონომიკურ პრობლემებს გაუძღვება მომავალში და გადაწყვეტს უკეთესად. ამ ფაქტორის ასეთი გათვალისწინება თბილისის მერობის კანდიდატის დასახელებისას მოხდა. სხვაგან რამდენად მოხდა, მიჭირს მსჯელობა.

რაც შეეხება საარჩევნო კამპანიებს. ყველასთან არის აქცენტი გაკეთებული იმაზე, რომ პირდებიან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ერთადერთი პრობლემაა, რამდენად დამაჯერებელია ის ფიგურა, რომელიც წამოყენებულია ამ დაპირებების შესრულებაში. ანუ, არის თუ არა ის იმ ტიპის ფიგურა, რომელიც ამ დაპირებების შემსრულებელია.

— ბრძანეთ, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატურების ვინაობა ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა. გამოდის, რომ არასამთავრობო სექტორში გადასვლის მიუხედავად, ის „ქართული ოცნებისა“ და შესაბამისად ხელისუფლების საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული?

— მიმაჩნია, რომ იგი აქტიურად არის ჩართული. ასე მარტო მე არ ვფიქრობ. ივანიშვილის განცხადებები და შეფასებები იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკისთვის ზურგი არ შეუქცევია. ნარმანიას ფიგურა ივანიშვილმა ჯერ კიდევ მაშინ წამოაყენა, როცა პოლიტიკაში იყო. იგი დღეს რომც არ იყოს პოლიტიკაში, დღევანდელი ხელისუფლება მთლიანობაში ივანიშვილის შექმნილია და, შესაბამისად, ამ მთავრობის კარგი და ცუდი ივანიშვილის სწორი ან მცდარი გადაწყვეტილების შედეგია.

— ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ბევრს მოლოდინები გაუცრუა. თქვენი აზრით, ამჯერად როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მოახლოებულ არჩევნებზე კოალიცია „ქართულ ოცნებას“?

— რომ გვესმის ახალმა ხელისუფლებამ მოლოდინები ბევრს გაუცრუაო, ეგ რამდენიმე ფაქტორის ბრალია — საარჩევნო ყუთთან მისული ქართველი ამომრჩეველი პოლიტიკოსისგან ყოველთვის ელოდება ყველა პრობლემის გადაჭრას. პოლიტიკოსებს უწევთ მაქსიმალური, ჰიპერთრობირებული დაპირებების მიცემა. მერე, ბუნებრივია, რომ ამათი დიდი ნაწილი არ სრულდება. პოლიტიკოსის დაპირებები 100%-ით არსად არ სრულდება. შეუსრულებლობაზე ასეთი მწვავე რეაქცია, როგორც ჩვენ გვაქვს, არ აქვთ ხოლმე. ეს ჩვენ, ამომრჩევლები ვითხოვთ პოლიტიკოსისგან ბევრი მოლოდინის შექმნას და მერე ასევე ვითხოვთ ყველა დანაპირების შესრულებას. ეს მიდგომა ცოტა არარეალისტურია. ასე რომ, მოლოდინის გაცრუების მიზეზი ნაწილობრივ ჩვენ ვართ.

მეორეა, რომ მართვის გამოცდილება „ქართულ ოცნებას“ ნაკლებად ჰქონდა, როცა მან მართვის სადავეები ხელში აიღო. იგი იმდენად ეფექტიანად ვერ მოქმედებს, როგორც ითხოვს მისგან სიტუაცია.

რაც შეეხება შედეგებს. არა მგონია, რომ „ოცნების“ მიმართ იმედგაცრუება იმდენად ყოვლისმომცველი და ტოტალური იყოს, რომ მან არჩევნების შედეგები თავდაყირა დააყენოს. 2012 წლის შედეგებთან შედარებით, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილება იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ აბსოლუტურად სხვა კონტექსტი იყო, მაგრამ მე მგონი, მთლიანობაში ნდობის ვოტუმს მაინც „ოცნება“ აიღებს. თუნდაც იმიტომ, რომ მას ჯერ თავისი დაპირებების შესრულებისთვის გამოყოფილი ვადა არ ამოუწურია.

კობა გენდელიანი

◎ ინფორმაცია

დარიალის ხეობაში დროებითი გზა გაიხსნება

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან იტყობინებიან, დარიალის ხეობაში სავალი გზის აღდგენითი სამუშაოები ახალ ფაზაში გადავიდა.

მიმდინარე სამუშაოების მიზანი დროებითი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაა. ადგილზე 70 ერთეული ტექნიკა და 170-მდე თანამშრომელი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს.

მეწყერის ჩამოწოლის დღიდან, პრემიერ-მინისტრის დავალებით, შეიქმნა საგანგებო შტაბი, სადაც გზის გაწმენდითი და სამძებრო-სამაშველო სამუშაოების დასაგეგმად სხდომები იმართება.

დღეის მდგომარეობით, უკვე მოხერხდა ახალი კალაპოტის გაჭრა და მეწყრის შედეგად დაგუბებული წყლის გადინება, რამაც დატბორილი ადგილი გაათავისუფლა. გრძელდება მდინარე თერგის კალაპოტის გაღრმავების სამუშაოებიც.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი, სამინისტროს სხვა წარმომადგენლები, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით შავლიაშვილი და მისი მოადგილეები დარიალის ხეობაში მიმდინარე სამუშაოებს მეთვალყურეობას პირადად უწევენ.

ინტერპრესი

SOS!

რუსთავს შველა სჭირდებაა!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო მინისტრო, დამეთანხმებით, რომ სანამ ქვეყნის ამომგდები ნაციონალები, კაციჭამია სააკაშვილის მეთაურობით სახელმწიფოს ვირთხებივით შეესეოდნენ და ყველაფერს გამოღრღნიდნენ, სოფელსა და ქალაქსაც ერთიანად გადაუვლიდნენ, რუსთავი საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი იყო.

იქნებ ისიც იცოდეთ, რომ კომუნისტების ხანაში ქვეყნის სტუმარი, რაგინდ უმღალესი რანგისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, პირველად რუსთავში ჩამოჰყავდათ, ასე გვასტუმრეს ინდოეთის პრეზიდენტი ჯავაჰარლალ ნერუ თავის ქალიშვილ ინდირა განდიდურთ, ირანის შაჰი ფეხლევი, ბროზ ტიტო, ლეონიდ ბრეჟნევი... სხვა მაღალჩინოსან წვრილფეხობას არ ვთვლი... მეტალურგიული კომბინატის მარტენის ერთი ღუმელი ავარიულად რომ გაჩერდებოდა, პოლიტბიურო შეიძვრებოდა.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თქვენ, ვარდების რევოლუციის ყაჩაღთა ბანდის დამანგრეველი ქართველი ოცნების მინისტრი, აგერ ლამის მეორე წელია, ამ მაღალ თანამდებობაზე ხართ და, ერთხელაც არ გაგჩენიათ რუსთავში ჩამოსვლის სურვილი, რომ ყურად გელოთ ჩვენი გასაჭირი, თუ საქმით ვერას გააკეთებდით, გენუგეშებინეთ მაინც, იქნებ ჩვენგან სასარგებლო, ქვეყნისათვის წასადგომი ინიციატივა მოგესმინათ.

ჩვენ ბატონ ბიძინა ივანიშვილის დიდად მადლიერნი ვართ, ის ღვთის მიერ მოვლენილად მიგვაჩნია. ამიტომაც იყო, წინასაარჩევნოდ რუსთავში ჩამოსულს, მიუხედავად ნაციონალ ხელისუფალთა ვერაგობისა, მისი მოსყიდული ქვეშევრდომების მუქარისა, ზღვა ხალხი დახვდა შეხვედრაზე. მაშინ თითქოს გამოცდა მოგვიწყოო, ბუნება გაჭირვეულდა, უცებ მოიღრუბლა, ცა ღვარცოფად ჩამოიღვარა. მიუხედავად ბატონი ბიძინას თხოვნისა — დასველდებით, არ გაცივდეთ, დაიშალეთო, — კაციშვილი არ გატოკებულა, ვიდექით, იმედით შევყურებდით და სასურველი დაპირებებიც მივიღეთ, მაგრამ...

ბატონო მინისტრო, ვინ ვინ და, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ რუსთავში 44 მსხვილი თუ წვრილი საწარმოა, ქიმიური ქარხნის შესახებ ინფორმაციებს რომ ფლობთ, ეს ტელეკომპანია „კავკასიაში“ თქვენი სტუმრობის დროს შევიტყვეთ, დავით აქუბარდიამ ჩვენი თხოვნით რუსთავის გასაჭირზე კითხვებიც კი დაგისვათ, მაგრამ გარდა „აზოტის“ მოსალოდნელი რეკონსტრუქციისა, სხვა სანუგეშო ვეღარაფერი დაგცდათ. **არც მეტალურგია გიხსენებიათ, რომელიც ვინმე მუხანათმა ქეიმ პატარკაციშვილის, ამ დიდი მამულიშვილის ოჯახს, რომ ვერაგულად წაართვა, რა თქმა უნდა, მიშიკოს ხელშეწყობით, მანვე გაძარცვა ქარხანა, დაშალა და ჯართად გაყიდა ბევრი მთავარი საამქრო, ეს ქეი დღესაც კრიჭაში უდგას მეტალურგებს. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ქარხნის ჯერაც გადარჩენილი ნაწილი ამოქმედდეს, თავის მშობლიურ ძარხანას დაუბრუნდეს ათასობით უმუშევარი სპეციალისტი. დრო, ინვესტორებს შეეძმნათ საჭირო პირობები, რასაც მთავრობა ასე აცხადებს. მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდება.**

ბატონო მინისტრო, რუსთავი რომ არა, იმ კაცს, ვისი ლანძღვა-გინებით დღესაც ვერ ძღებიან გონებაშეზღუდული ნაციონალები, იმ დიდი ქართველს რუსთავის აღორძინება რომ არ გადაეწყვიტა, დღეს საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი ყოფილ სოღანლუღზე დღევანდელი ფონისჭალაში, ზედ თბილისთან იქნებოდა გავლებული. აბა ვინ შეგარჩენდა დაუსახლებელ უზარმაზარ ტერიტორიას, რომელიც მანამდეც მეზობელი ქვეყნის მეცხვარეებს იჯარით ეკავათ.

იმხანად რუსთავის მოსახლეობა თითქმის 170 ათასს შეადგენდა, აქედან 90 ათასი დასაქმებული იყო... ჩვენ ვიცით, ახლა ამაზე ოცნებაც კი ფუჭია, მაგრამ იმ მასშტაბის სამრეწველო თუ სამშენებლო პოტენციალიდან მაინც ბევრი რამ დარჩა, თუნდაც ინფრასტრუქტურა...

რუსთავს არ სჭირდებოდა იმხანად, მაგრამ მაინც მზადდებოდა ათობით დასახელების ფართო მოხმარების საგნები, რაც დღეს თურქეთიდან, თანაც უხარისხო შემოაქვთ.

დღეს რუსთავი იცლება, ყოველწლიურად ათასზე მეტი ახალგაზრდა ტოვებს სკოლის მერხს, ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, მაგრამ, რომ იტყვიან, სანთლით რომ ეძებო, ერთ სამუშაო ადგილს ვერ მოიძევ. ამიტომ ისინი ტოვებენ ქალაქს. ვისაც საშუალება აქვს, უცხოეთში იხვეწება, დანარჩენნი ლოთობენ, ბანქოს ან დომინოს თამაშობენ და ასე, ხეებივით ზეზეულად ხმებიან. თუ ასე გაგრძელდა, რუსთავი მალე უცხოთა სამკვიდრებლად იქცევა.

ბატონო მინისტრო, სალაპარაკო ბევრი გვაქვს, მაგრამ გვსმენია, მთავრობის კაცებს კითხვა არ უყვართო. იქნებ სჯობდეს, როგორმე დრო გამონახოთ, ჩვენთვისაც მოიცალოთ, თან იმ მოზღვავებულ ინვესტორთაგან, თქვენ რომ მრავალზე მრავალი გყავთ, რამდენიმე ჩვენთან იხილოთ, ვინ იცის, მათაც გაუჩნდეთ ინტერესი.

პატივისცემით,

ვაჟა გიგიბერია, შიო ძაჯაია, პირველი თაობელი, ჯერაც შემორჩენილი მეტალურგები;
მურად გოგატიშვილი, ზურაბ გიორგაშვილი, დამსახურებული ინჟინერ-მშენებლები;
შალვა შემაზაშვილი, ვეტერანი რუსთაველი;
თენგიზ გიორგაძე, მერაბ ახვლედიანი, ახალგაზრდა უმუშევრები;
გივი ჯახუა, მეორე თაობის მეტალურგი, მწერალი, დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, ქვემო ქართლის მწერალთა ასოციაცია „რუსთაველის“ თავმჯდომარე.

ჩვენ უკან ათასობით რუსთაველი დგას.

ინფორმაცია

„საქართველო მიგრანტებს ვიზის გაგრძელებაზე უარს ეუბნება“

ამ სათაურით აქვეყნებს ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“ რობინ ფორესტერ-უოკერის რეპორტაჟს საქართველოდან.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ერთ დროს საქართველოში მიესალმებოდნენ უცხოელი ბიზნესმენების მიერ სასოფლო მიწების შესყიდვას, თუმცა საქართველოში მყოფი ბევრი აზიელი ახლა იძულებულია, დატოვოს ქვეყანა, რადგან უარს ეუბნებიან ვიზის გაგრძელებაზე.

ამასთან, როგორც ავტორი აღნიშნავს, საქართველოს წინა ხელისუფლებამ დიდძალი თანხები დახარჯა უცხოელი ინვესტორების მოზიდვის კამპანიაზე.

„ბევრმა ბიზნესმენმა აზიიდან და შუა აღმოსავლეთიდან ადვილად მიიღეს საქართველოს ვიზები და მიტოვებული მიწები იაფად შეიძინეს. მათ დაიწყეს მოსავლის მოყვანა და ქართულიც კი ისწავლეს, მაგრამ გასულ წელს საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეუწერა უცხოელებს უფლება სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვასთან დაკავშირებით“, — ნათქვამია „ალ ჯაზირას“ სიუჟეტში.

ამასთან, ავტორის თქმით, თებერვალსა და მარტში საქართველოს იუსტიციის სახლმა 50%-ზე ნაკლებ აზიელსა და ირანელს გაუგრძელა ვიზა, მაგრამ ბევრს ვიზის გაგრძელებაზე უარი უთხრა. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამასთან დაკავშირებით იუსტიციის სახლმა კომენტარზე უარი განაცხადა.

რობინ ფორესტერ-უოკერი ასევე აღნიშნავს, რომ კრიტიკოსთა განცხადებით, საქართველო ამით უცხოურ ინვესტიციებს კარგავს. მისივე თქმით, ბევრმა ინდოელმა ფერმერმა საქართველო უკვე დატოვა.

ინტერპრესი

ინფლაცია

რამდენად გაგვიძვირდება ცხოვრება წლეულს?

სახელმწიფო ბიუჯეტის ინდიკატორულ მაჩვენებლებს შორის, განსაკუთრებულ როლს ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი რომ ასრულებს, ფაქტია. ამის მიზეზს დიდი ახსნა არ სჭირდება, რადგან იგი ერთიანად მოქმედებს როგორც თავად ბიუჯეტის დაგეგმილი მუხლების შესრულებაზე, ასევე ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სეგმენტსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონეზე.

ამის გათვალისწინებით, საგულისხმოა საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული „ინფლაციის მიმოხილვა“, რომელშიც 2014 წლის ამ მაჩვენებლის თაობაზე პროგნოზია გამოთქმული. ექსპერტთა აზრით, **წლის განვლილ პერიოდში ინფლაცია ზომიერ ზრდას განაგრძობს და მეორე ნახევარში სამიზნე 6-პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწევს.**

მიმოხილვაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ეროვნული ბანკის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2014 წლისთვის, მიუხედავად პირველი კვარტლის 7,4-პროცენტიანი მაჩვენებლისა, 5 პროცენტის ფარგლებშია, რაც **„შერბილებული მონეტარული პოლიტიკისა და ფისკალური სტიმულირების ფონზე ბიზნესის განწყობის გაუმჯობესებას გულისხმობს“.** ეს კი, ექსპერტთა ვარაუდით, წელს კაპიტალის ფორმირებას დააჩქარებს და ერთობლივ მოხმარებაზეც დადებითად აისახება.

ამასთან, აღნიშნავენ იმასაც, რომ **წლეულს, შარშანდელთან შედარებით, მოკრძალებული იქნება საექსპორტო პროდუქციის წილი, რაც, ერთობლივი მოხმარების ანუ მოსახლეობაში საქონელზე მოთხოვნის ზრდის პირობებში, იმპორტის ზრდას განაპირობებს.**

მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივ ზრდას ექსპერტები ეროვნული ეკონომიკის ფაქტობრივად ყველა სფეროში ვარაუდობენ, თუმცა კი, მათი აზრით, ამ მხრივ სხვებზე წარმატებული მშენებლობისა და მომსახურების სეგმენტები იქნება, ხოლო სოფლის მეურნეობის წვლილი კი, 2013 წელთან შედარებით, როგორც მიმოხილვაშია ნათქვამი, შარშანდელთან შედარებით „მოკრძალებული იქნება საბაზო ეფექტის არარსებობის გამო“. მოკვდავთა მარტივი ენით თუ ვიტყვით, ამ დარგში, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, წლეულს რაიმე განსაკუთრებულ წინსვლას მაინცდამაინც არ უნდა ველოდოთ.

მიმოხილვაში ასევე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ეკონომიკის წლევანდელი ზრდის დონეზე, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ჩვენს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპის საპროგნოზოზე დაბალი მაჩვენებელი, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში მონეტარული სტიმულირების შემცირება. ეს კი, შესაბამისად, განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საგარეო ინვესტიციების ნაკადის სიმძლავრეს საგრძნობლად შეასუსტებს. არც შიდა ინვესტიციებთან დაკავშირებითაა პროგნოზი მაინცდამაინც იმედის მიმცემი, რასაც ექსპერტები ჯერ კიდევ „მყიფე ბიზნეს-განწყობით“ ხსნიან. თუმცა კი, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მხრივ, თანაინვესტირების ფონდის და სახელმწიფოს მიერ კაპიტალური ხარჯის ოდენობის გაზრდამ, აგრეთვე ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში გადასვლის პერსპექტივამ, სავარაუდოდ, ზემოაღნიშნული „ბიზნეს-განწყობა“, შესაძლოა, საგრძნობლად გამოაკეთოს და ეკონომიკური აქტივობის გაზრდა განაპირობოს. **ინფლაციაზე მოქმედი რისკ-ფაქტორიც სწორედ ამ მოლოდინებთანაა დაკავშირებული.**

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების ტენდენცია წლის მანძილზე გაგრძელდება, თუმცა კი, იგი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვანაირად წარიმართება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ცოტა ხნის წინათ გასაჯაროებული პროგნოზით, **გლობალური ეკონომიკური ზრდა 2014 წელს 3,7 პროცენტს შეადგენს,** რაშიც მნიშვნელოვანი წილი განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, ცხადია, საქართველოსიც იქნება, რაც მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იქნება.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ იმავე დოკუმენტში შედარებით უფრო პესიმისტური პროგნოზია გამოთქმული საქართველოს მეზობელი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების, კერძოდ, **თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის** მიმართ. ამას ეროვნული ეკონომიკისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა იმის გამო ექნება, რომ საერთაშორისო ეკონომიკური აქტივობის ზეგავლენა რამდენიმე მიმართულებით გადმოგვეცემა, მათ შორისაა, **უცხოური ინვესტიციების შემოდინება, საექსპორტო პროდუქციაზე მოთხოვნა, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან კერძო ფულადი გზავნილები.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე არსებული პროგნოზებისა და მათთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა საპროცენტო განაკვეთის 0,25 პროცენტით, ანუ 4 პროცენტამდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რაც არსებითად მთელ რიგ მიკროეკონომიკურ მაჩვენებელზე, მათ შორის ინფლაციაზე მისეულ ხედვას ასახავს.

ოთარ ტურაბელიძე

თბილისი დაინტერესებულია აფხაზეთის საზოგადოებასთან დიალოგით

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მზად არის აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის.

„მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, გქონდეს დიალოგი აფხაზეთის საზოგადოებასთან, ამიტომ, ისევ ვინც უნდა იყოს აფხაზეთის საზოგადოების ახალი ლიდერი, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მასთან კონტაქტისთვის“ — განაცხადა 2 ივნისს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ინტერვიუში ზაქარეიშვილმა, რომელიც ადრე აცხადებდა, რომ პროცესებს აფხაზეთში მოსკოვი ხელმძღვანელობს, და რომ რუსეთმა შეასრულა „გადამწყვეტი როლი“ პრეზიდენტ ანქვაბის გადადგომაში.

შეგახსენებთ, რომ ანტისამთავრობო დემონსტრაციები სოხუმში 27 მაისს დაიწყო. იმავე საღამოს დემონსტრანტებმა შეაღწიეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში, მოითხოვდნენ, რომ მთავრობა და პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი გადამდგარიყვნენ. ანქვაბმა, რომელსაც მოუწია დაეტოვებინა პრეზიდენტის სასახლის შენობა, ოპოზიციის მოქმედებას „ხელისუფლების შეიარაღებული გზით“ ძალით ხელში ჩაგდება“ უწოდა და უარს აცხადებდა უფლებამოსილებათა დათმობაზე. მაგრამ 1 ივნისს მან დააკმაყოფილა ოპოზიციის მოთხოვნა, როგორც მან განაცხადა, რათა „დაიცვას ქვეყანა უცილობელი კატასტროფისგან“.

აღსანიშნავია, რომ თვითგამოცხადებული აფხაზეთის პარლამენტმა 31 მაისს სპიკერი ვალერი ბგანბა პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნა და ხმა მისცა პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების გამართვას 24 აგვისტოსათვის.

„ალმავალი გზით“

მიუხედავად იმისა, რომ მღელვარების დაწყებიდან მეორე დღეს მოსკოვმა სოხუმში ოპოზიციასთან და ხელისუფლებასთან კონსულტაციებისათვის თავისი წარმომადგენლები გაგზავნა, აგრეთვე ბრალდებებისა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, რუსეთის ხელმძღვანელობა უარყოფს აფხაზეთის პროცესებში ჩართვას და გპირდება თვითგამოცხადებული რესპუბლიკისთვის საფინანსო და პოლიტიკური დახმარების გაგრძელებას.

„აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც აფხაზი ხალხისა და აფხაზეთის სახელმწიფოს საშინაო საქმეს. ჩვენთვის ყველაზე მთავარია, რომ წარმოქმნილი დაპირისპირებანი გადაწყდეს ძალადობის გარეშე. დარწმუნებული ვარ, რომ ურთიერთობა რუსეთსა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის განვითარდება აღმავალი გზით“, — განაცხადა 2 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა.

მიმართვაში, რომელიც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ რუსეთი მზადაა იმუშაოს აფხაზეთის ახალ ხელისუფლებასთან.

„აფხაზეთის ხალხს მოუწევს გამოთქვას თავისი აზრი სახელმწიფოს მეთაურის რიგგარეშე არჩევნების დროს აგვისტოში. რუსეთში პატივისცემით ეპყრობიან ნების ამ გამოვლენას. მზად ვიქნებით რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად გავაგრძელოთ მასშტაბური მუშაობა რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობათა განვითარებისა და განმტკიცებისათვის, რაც წარმატებით ხორციელდებოდა წინა წლებში“, — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის კომენტარებში.

რუსეთის შემადგენლობაში?

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავის მხრივ, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებში „უკანონობის შედეგს“ ხედავს, რაც გამოწვეულია საქართველოს ამ რეგიონის რუსული ოკუპაციით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილის დავით ჯალაღანიას სიტყვებით, პროცესებს, რაც ხდება მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის მიერ უღიარებელ რესპუბლიკაში, არ აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, მიუხედავად ამისა, ამბობს მინისტრის მოადგილე, თბილისს „არ შეიძლება არ აღელვებდეს ის, რომ საქართველოს ტერიტორია შეიძლება გახდეს სხვა სახელმწიფოს ნაწილი“.

რასაკვირველია, ამას არ ექნება ლეგიტიმური ხასიათი. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, შევძლებთ ავიცილოთ ეს თავიდან“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილემ 2 ივნისს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ თავის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში ხალხისადმი ალექსანდრ ანქვაბმა დაწერა, რომ ყველაზე პრობლემური საკითხი მისთვის არის ის, რომ „ბრძოლაში ხელისუფლებისათვის... აფხაზეთი შეიძლება არ გახდეს “ სახელმწიფო. ამან გამოიწვია ვარაუდი უკანასკნელ დღეებში გავრცელებული ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ რუსეთის წარმომადგენლები აყენებდნენ საკითხს აფხაზეთის შესვლის შესახებ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. თუმცა, აფხაზეთის ოპოზიციამ უარყო ეს განცხადება, რომელიც თითქოსდა ვრცელდებოდა ანქვაბის გარემოცვის მიერ.

თუ რუსეთთან შეერთების თემა სპეკულაციის საგანია აფხაზებთან დაკავშირებით, ამავე დროს, საქართველოს მეორე ოკუპირებულ რეგიონში — სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი ხელისუფლების პოზიცია უკიდურესად ნათელია. სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი მიიჩნევს, რომ ყირიმთან დაკავშირებული პრეცედენტის შემდეგ, „იდეას რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ კარგი პერსპექტივები აქვს“. მან ამავე დროს დაადასტურა, რომ „სამხრეთი ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხი... განიხილება მისი შეხვედრების დროს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან“.

„ჩვენი ამოცანაა, შევარჩიოთ შესაბამისი მომენტი, როდესაც საჭირო გახდება აქტიურად დავაყენოთ საკითხი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ... უნდა დადგეს ხელსაყრელი მომენტი, და ჩვენ ამ მომენტს არ გავუშვებთ ხელიდან, გამოვიყენებთ მას იმისთვის, რომ ჩვენი ხალხისთვის დადებითად გადავწყვიტოთ ეს საკითხი“; — განაცხადა თიბილოვმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში 2 ივნისს.

„ეთნიკური ქართველების უფლებები“

ქართული ოპოზიცია, კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ — ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტია, მკაცრად აკრიტიკებს ხელისუფლებას „უმოქმედობის“ და პასიურობის გამო საერთაშორისო გაერთიანების ყურადღების მობილიზაციაში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელის გიორგი ბოკერიას სიტყვებით, იმის გარდა, რომ აფხაზეთის მოვლენებში არანორმალური როლი აქვს კლანების დაპირისპირებას, ამავე დროს ეს ყოველივე არის სრული კონტროლის ქვეშ მოსკოვისა, რომელსაც, მისი სიტყვებით, განზრახული აქვს მოიყვანოს აფხაზეთის ხელისუფლებაში ის ადამიანები, ვინც უფრო მეტ მცდელობას გამოიჩენს, ვიდრე ანქვაბის ხელმძღვანელობა, კრემლის მითითებათა შესასრულებლად.

ბოკერიას ასევე „საგანგაშოდ“ მიაჩნია, რომ აფხაზეთის ოპოზიციამ მიაღწია ხელისუფლების შეცვლას „იმ ლოზუნგებით, რომლებიც გულისხმობენ, როგორც მინიმუმი, ეთნიკური ქართველების უფლებების ხელყოფას“.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭომ, რომელიც ოთხ ოპოზიციურ პარტიასა და 7 საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს, შეიქმნა შარშან ანქვაბის პოლიტიკის დაპირისპირების დეკლარირების მიზნით და მიმართული იყო ქართველების ინტეგრირებაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დანარჩენ მოსახლეობასთან. სოხუმში 27-29 მაისის დემონსტრაციებზე ოპოზიციის ლიდერები უშუალოდ აცხადებდნენ საფრთხის შესახებ, რომელიც მოდიოდა აფხაზეთის გალის რაიონში მცხოვრები ქართველებისგან და რომელთა უმრავლესობასაც, არაოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელ დღეებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩამოართვა აფხაზური პასპორტები და ავტომობილების მართვის უფლებები, რითაც შეზღუდა მათი გადაადგილების თავისუფლება.

ქართული ოპოზიცია სოხუმში მიმდინარე მოვლენებსა და საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას შორის ხედავს კავშირს. ოპოზიციის აზრით, მოსკოვს შეუძლია გამოიყენოს ეთნიკური ქართველების პრობლემა, რომლებიც გალში ცხოვრობენ, რათა ზეგავლენა მოახდინონ და შეაჩერონ საქართველოს ევროინტეგრაცია.

აღსანიშნავია, რომ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, აფხაზეთში ცხოვრობდა 48 პროცენტი ქართველი და 17 პროცენტი აფხაზი. დღეს, აფხაზეთის ოფიციალური მონაცემების თანახმად, იმ ქართველების რაოდენობა, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, შემცირდა 19,26 პროცენტამდე, ეთნიკური აფხაზების წვლილი კი გაიზარდა მოსახლეობის 50-71 პროცენტამდე.

ამერიკის ხმა

დედამიწის ზურგზე

ალყაშემორტყმული სლავიანსკი სანახევროდ მოკვდა: სროლებს მოსახლეობის თითქმის ნახევარი გაეძცა

1 ივნისის მდგომარეობით, სლავიანსკი მოსახლეობის დაახლოებით 40-მა პროცენტმა დატოვა, ძირითადად — ახალგაზრდობამ და ბავშვებმა, განაცხადა ქალაქის „სახალხო მერმა“ ვიაჩესლავ პონომარიოვმა. არაევაკუირებული დარჩა 7 ათასი ბავშვი. სლავიანსკის მიმართულებით სროლები გრძელდება, მიმდინარეობს სპეცოპერაციის აქტიური ფაზა.

პოლონეთში უნდა განთავსონ გაცილებით მეტი ჯარისკაცი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპიდან, მიაჩნია საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს სიკორსკის

სი-ენ-ენისთვის მიცემულ ინტერვიუში მალალი რანგის დიპლომატი ასევე შეეხო სიტუაციას უკრაინაში. მან გამოთქვა რწმენა, რომ არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი პიოტრ პოროშენკო არის სწორედ ის ადამიანი, რომელიც შეძლებს მოაწესრიგოს კრიზისი ქვეყანაში. რუსეთმა და უკრაინამ „უნდა მოაწესრიგონ ურთიერთობანი, ვინაიდან მათ ერთმანეთი სჭირდებათ“.

გაერო სწავლობს ოდესაში 2 მაისის ტრაგიკულ მოვლენებს, აღიარა რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა

ადრე ჩურკინი იტყობინებოდა, რომ გაერომ უარყო მოსკოვის წინადადება, მიმართოს ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პან გი მუნს თხოვნით მოაწყოს ტრაგიკული მოვლენების საკუთარი გამოძიება. ამ დროს უკრაინის უმაღლეს რადაში განაცხადეს, რომ ვერ ეტევიან გამოკვლევისთვის გათვალისწინებულ ვადებში.

სირიაში სტარტს იღებს პრეზიდენტის არჩევნები: ნახევარი საუკუნის განმავლობაში პირველად სახელმწიფოს მეთაურს ირჩევენ რამდენიმე კანდიდატისგან

პირველად 50 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მეთაურის პოსტისთვის ასადების ოჯახის წარმომადგენლებთან ერთად იბრძოლებს კიდევ ორი, მთავრობის მიერ მოწონებული კანდიდატი — მახერ ხაჯარი და ჰასან ალ-ნური. სხვათა შორის, მოქმედი პრეზიდენტის ბაშარ ასადის გამარჯვებაში, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მესამე შვიდწლიან ვადაზე, ეჭვი არავის ეპარება.

ფრიად საჭირო და სერიოზული ნაშრომი დასანანი ხარვეზებით

ქართველმა მკითხველმა ახლახან მიიღო სქელტანიანი (926 გვერდის შემცველი) **თ. ქიტოშვილის** ხელმძღვანელობითა და **გ.ცოცანიძის, ნ.ლოლაძისა** და **ქ. დათუკიშვილის** ავტორობით, ლექსიკოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული **„ქართული ლექსიკონი“,** რომლის შედგენაში აგრეთვე მონაწილეობდნენ: **ლ.ბრეგაძე, ნ.დათეშიძე, ც. კვანტალიანი, მ. კვასხვაძე, მ. კიკონიშვილი, ნ.ლადარია, რ. ლანდია, ი. ლობჟანიძე, ნ.ნაფეტვარიძე, მ.ნებიერიძე, ნ.ჭუმბურიძე**. ლექსიკონის რეცენზენტები არიან **შ.აფრიდონიძე და ლ.ბერძენიშვილი.**

ლექსიკონში წარმოდგენილია 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეული, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა და სიტყვაფორმის შესახებ (გვ.5).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასეთ ნაშრომებზე მოთხოვნილება საზოგადოებაში ძალიან დიდია, თვით ფაქტი მისი გამოცემისა მისასალმებელია. თუნდაც რად ღირს ნაშრომში გამოკვეთილად იმის აღნიშვნა, რომ სწორი ფორმულირებაა **„არაორდინარული“** და არა — „არაორდინალური“, **„აგრარული“** და არა „აგრალური“, **„ეკონომიკური“** და არა „ეკონომიური“ (თუ მომჭირნეობა არაა მხედველობაში), **„პროტექცია“** და არა „პროტეკცია“, **„პუნქტუალური“** და არა „პუნკტუალური“, **„პუნქტუაცია“** და არა „პუნკტუაცია“, **„რედაქტორი“** და არა „რედაკტორი“, **„სანიტარიული“** და არა „სანიტარული“ (როცა სანიტარიას ეხება საკითხი), **„ტუბერკულოზი“** და არა „ ტუბერკულიოზი“, **„ჰეპატიტი“** და არა „გეპატიტი“, **„ჰომეოპათია“** და არა „გომეოპათია“ და ა.შ.

ეს განსაკუთრებით იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეხება, პირველ რიგში, სწორედ იმ ტერმინებს, რომლებიც ხშირად მახინჯდება როგორც წერილობით წყაროებში, ისე ზეპირსიტყვიერებაში.

„ქართული ლექსიკონის“ ბევრ სხვა დადებით ასპექტზე შეიძლება მინიშნება. თუმცა, ალბათ, უმჯობესია, გადავიდეთ ნაშრომის შეფასებაზე ჩვენი პროფესიული კუთხით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს,რომ ლექსიკონში ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინები და ცნებები რაოდენობრივად ძალიან შეზღუდულადაა წარმოდგენილი.

განა რაიმე გამართლება შეიძლება ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ თითქმის ათასგვერდიან ლექსიკონში ადგილი ვერ მოეძებნა მაგალითად , ისეთ მნიშვნელოვან ტერმინებს, როგორიცაა **„ღირებულება“ — („დამატებული ღირებულება“, „დამატებული ღირებულების გადასახადი“); „ინოვაცია“ — („ინოვაციური ეკონომიკა“, „ინოვაციური მენეჯმენტი“); „ბიზნეს-გეგმა“, „ლიზინგი“, „ნოოსფერო“, „ნოუ-ჰაუ“, „სინერგია“, „სინერგიზმი“, „ნანოტექნოლოგია“, „ტექნოპარკი“, „ფაქტორინგი“, „ფრანჩაიზინფი“, „ლისტინგი“ და სხვ.**

ლექსიკონში არაა მოცემული ბევრი მნიშვნელოვანი ანტონიმი. მოცემულია „დეფიციტის „ განმარტება (გვ.240) და არაა განმარტებული „პროფიციტი“, ახსნილია „ინფლაცია“ (გვ. 303) და გამოტოვებულია „დეფლაცია“, არის „სტაგნაცია“ (გვ.578), „დევალვაცია“ (გვ.237) და არაა **„სტაგფლიაცია“, „რევალვაცია“** და ა.შ.

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად სწორადაა გადმოცემული იმ ტერმინთა შინაარსი, რაც მოტანილია ტექსტში.

აი, ზოგიერთი მათგანი:

— დასაზუსტებელი და გასავრცობია მსჯელობა იმის შესახებ, რომ **საქონლის ღირებულება იგივეა, რაც ფასი** (გვ.116, 623, 652). ეს უზუსტობა გაღრმავებულია ფასდაკლების განმარტებაში: **„ფასდაკლება — ღირებულების (I) ფასის დაკლება...“.** კიდევ უფრო ღრმავდება გაუგებრობა **„ტარიფის“** განმარტებაში. მაშინ, როდესაც „ტარიფი“ სხვა არაფერია, თუ არა „ფასი“, ნაშრომში ის განმარტებულია, როგორც **„ზოგიერთი სახის გადასახადი“** (გვ.589).ავტორთა აზრით, ის არის აგრეთვე **„საფასურის დადგენილი ოდენობა“** (გვ. 589). ეს განმარტება კიდევ უფრო ბუნდოვანი ხდება ლექსიკონში მოცემული ტერმინის „საფასურის“ განმარტებით. მოცემული განმარტებით: **„საფასური“ არის „საფასურის ფასი“** (გვ. 550). მარქსოლოგიური, გაგებით, ფასი და ღირებულება მკვეთრად განსხვავებულია. ევროპულ ენებში ორთავე ხშირად ერთი მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა, სპეციალურ ლიტერატურაში კონტექსტის მიხედვით განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. დღევანდელ ქართულ საყოფაცხოვრებო, ლიტერატურულ, სამეცნიერო , თუ ოფიციალურ (საკანონმდებლო) ენაში ამ საკითხზე დიდი გაურკვევლობაა. სამწუხაროდ, წარმოდგენილი ნაშრომი ამ მდგომარეობის გამოსწორებას ხელს არ უწყობს;

— სრულიად არაფრისმთქმელია **კაპიტალიზმის** შემოთავაზებული განმარტება, რომ ეს **„არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება , რომლის დროსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნით კერძო პირებს“** (გვ.312)., ან კიდევ: **„ბურჟუაზია-მოქალაქეთა საშუალო ფენის წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში“** (გვ. 89). ჯერ ერთი, ეს განმარტება ეფუძნება საკითხის ერთ კონკეტულ (კერძოდ მარქსისტულ) პოზიციას, მაშინ როდესაც არსებობს სხვა განმარტებებიც და მეორე, ეს პოზიციაც არაა მოცემული სრულად. წარმოების საშუალებები კერძო საკუთრებაში იყო მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის დროსაც. სასურველი იყო საბაზრო ეკონომიკის კუთხით კაპიტალიზმის განმარტების მოცემა;

— მიუღებელია ლექსიკონში მოტანილი მოგების განმარტება: **„სარგებლის ნახვა“** (გვ.400). სინამდვილეში მოგება არის საქონლის რეალიზებით მიღებული ამონაგები თანხის გარდანამეტი მის სრულ თვითღირებულებაზე (ე.ი. საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეულ ხარჯებზე);

— ლექსიკონის ავტორები მართებულად მიუთითებენ იმაზე, რომ როცა პროგრესსა და რეგრესზეა მსჯელობა (მაგალითად საზოგადოებრივ პროგრესსა და რეგრესზე) სწორია გამოვიყენოთ ფორმულირებები: **„პროგრესული“** და **„რეგრესული“,** მაგრამ ცდებიან იმაში, რომ საერთოდ მიუღებლად მიიჩნევენ (გვ.497) **პროგრესიულისა და რეგრესიულის** გამოყენებას. მაგალითად, როდესაც საგადასახადო განაკვეთებზე ვმსჯელობთ და ამოსავალს პროგრესიული და რეგრესიული საგასახადო სისტემები წარმოადგენენ, ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოვიყენოთ ფორმულირებები: **„პროგრესიული“ და „რეგრესიული“** .

— ლექსიკონში, ისე როგორც არაიშვიათად სხვა პუბლიკაციებსა და ზეპირსიტყვიერებაში, ფიგურირებს ფორმულირება „სააქციო საზოგადოება“, რაც შეცდომაა, რამდენადაც ის არაა მისი შინაარსის ადეკვატური. როგორც ცნობილია, „საზოგადოებები“ იქმნება არა აქციებისაგან, არამედ აქციონერებისაგან ამიტომ სწორი ფორმაა **„აქციონერული საზოგადოება“** (ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). შემდგენლები აკად. პ. გუგუშვილი, აკად. ვ.ჩანტლაძე, აკად. წ/კორ. ლ. ჩიქავა, ა.კოშკელაშვილი, თბ.: „სიახლე“, 2001, გვ.10)

— ლექსიკონის მიხედვით, **„არენდა“** იგივეა რაც **„იჯარა“** და გვირჩევენ ჩვენც ასეთივე ინტერპრეტაცია მივცეთ ამ ტერმინებს(გვ.48), მაგრამ ეს შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ. **არენდა ლათინური სიტყვაა და გაქირავებას ნიშნავს.** მეარენდე არენდატორს ხელშეკრულებით აძლევს ქონებას დროებით სარგებლობაში განსაზღვრული ქირით. საარენდო გადასახადი არავითარ კავშირში არაა არენდატორის შრომითი საქმიანობის შედეგებთან. მაშინ როდესაც იჯარის დროს ესაა მთავარი მომენტი. **იჯარა არაბული სიტყვაა და ნიშნავს გასამრჯელოს სამუშაოსათვის.** მეიჯარე მოიჯარეს ხელშეკრულებით აძლევს თავის ქონებას დროებით სარგებლობაში. მოიჯარის შრომით მიღებული შემოსავალი ეკუთვნის მეიჯარეს, ხოლო გაწეული შრომისათვის მოიჯარე იღებს ანაზღაურებას მეიჯარისაგან შეთანხმებული ოდენობით (რ. ასათიანი, ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი. თბ.: „სიახლე“, 2010, გვ.26, 162);

— ლექსიკონში აღნიშნულია, რომ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ხალხთა ყოფა- ცხოვრებას, მათ კულტურას, **ეთნოგრაფია** ეწოდება (გვ.251). საკმაოდ დიდი ხანია, რაც საქართველოში ეთნოგრაფიის ნაცვლად იყენებენ **ეთნოლოგიას**.შესაბამის ინსტიტუტსაც კი შეეცვალა სახელი. ყოფილ „ისტორიისა და ეთნოგრაფიის“ ინსტიტუტს ახლა „ისტორიისა და ეთნოლოგიის „ინსტიტუტი ეწოდება. ეს გაორება მოხდა საბჭოთა წარსულის მქონე ქვეყნებში, თორემ დასავლეთში ყოველთვის „ეთნოლოგიას“ იყენებდნენ. ასეთ საკითხებში დიდი სიზუსტეა საჭირო .

— „გადასახადი. თანხა ,რომელსაც მოქალაქეები იხდიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ“ (გვ.101). გადასახადს იხდის არა მარტო მოქალაქე, არამედ მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირიც და აგრეთვე იურიდიული პირები(მაგალითად მოგების გადასახადი). ბიუჯეტში შეტანილი ყველა თანხა არაა გადასახადი. **ესაა მხოლოდ სავალდებულო,უპირობო ფულადი შენატანი.** ამასთან, ეს შენატანი ხორციელდება არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტში, არამედ ბიუჯეტში ზოგადად, ხოლო კონკრეტულად ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიც, ავტონომიური რესპუბლიკისაც და ადგილობრივიც (საქართველოს სინამდვილის მიხედვით);

— „გადახდისუნარიანი-ქონებრივად შეძლებული, ვისაც გადახდა შეუძლია. გადახდისუნარიანი მოსახლეობა“ (გვ.107). თითქოსდა მარტივად და გასაგებადაა განმარტებული. სინამდვილეში ყველა სიტყვა ბუნდოვანი და დამაბნეველია. **გადახდისუნარიანობა გამოხატავს როგორც სახელმწიფოს, ისე იურიდიული და ფიზიკური პირის ფინანსურ მდგომარეობას და პირდაპირი კავშირი „ქონებრივ შეძლებულობასთან“ არ აქვს. შეიძლება ქონებრივად შეძლებული გადახდისუუნარო იყოს, ხოლო ქონებრივად არაშეძლებული გადახდისუნარიანი.** როდესაც განიხილება კონკრეტული შემთხვევა, მაშინ იგულისხმება რომ გადახდისუნარიანობას აქვს პარამეტრი — კერძოდ მოთხოვნის სახით. მოთხოვნის სახით გადახდისუნარიანობა გამოხატავს მოთხოვნილებების, სურვილების იმ ზომას, რომლის შეძენაც შეუძლია პირს.

— „დარგი. მეცნიერების,ხელოვნების, ტექნიკის ან წარმოების დამოუკიდებელი სფერო. ენათმეცნიერების დარგი“ (გვ.208). **აქ ,საუკეთესო შემთხვევაში ჩამოთვლილია ზოგიერთი დარგი, მაგრამ ფაქტობრივად არაა განმარტებული დარგის არსი.** ამიტომაც მკითხველი ვერ ღებულობს განმარტებას დარგების უზოგადეს სტრუქტურაზე საზოგადოებაში: **მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში მონაწილე დარგები** (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) და **სოციალური სფეროს დარგები** (განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება და სხვ.) რა მიმართებით იწოდებიან დარგებად, რა არის ამის საფუძველი?

— უცნაურადაა განმარტებული **ეკოლოგია** (გვ.25). **„ეკოლოგია. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მცენარეთა და ცხოველთა დამოკიდებულებას ერთმანეთთან და საარსებო გარემოსთან“.** ამისგან განსხვავებით **ეკოლოგიაში მთავარია „ადამიანთა ურთიერთობა გარემომცველ ბუნებასთან, რაც გულისხმობს რესურსების ეკონომიურ გამოყენებას, მათ დაცვასა და აღდგენას“** (ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. აკად. ა.სილაგაძის რედაქციით. თბილისი., 2005, გვ.224).

— ვერ გავიზიარებთ ნაშრომში მოცემულ „ეკონომიკის“ განმარტებას. — განსაკუთრებით პირველ ნაწილს. **„ეკონომიკა. 1. წარმოების ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას. ქვეყნის ეკონომიკა“.** (გვ. 251). **საქმე მარტო ის კი არაა, რომ ეს განმარტება მარქსისეული პოზიციის ელემენტებს შეიცავს და ის დაშორებულია დღეისათვის გავრცელებულ პოპულარულ განმარტებებს.** მოცემულ განმარტებაში მარქსისტული პოლიტეკონომიის პოზიციაც არაა სწორად წარმოდგენილი.

— არასრულია შემდეგი განმარტება: „თვითღირებულება.**თანხა, რომელიც დაიხარჯა საქონლის (პროდუქციის) წარმოებაზე“** (გვ.289). **თვითღირებულება პროდუქციის არა მარტო წარმოებაზე, არამედ აგრეთვე რეალიზაციაზე მიმდინარე დანახარჯებია ფულად გამოხატულებაში;**

— უკომენტაროდ ვფიქრობდით მოგვეტანა შემდეგი განმარტება — **„კომუნიზმი. 1. საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. კომუნიზმის ეპოქა“** (გვ. 331) — თუმცა, გადავიფიქრეთ. მიუხედავად იმისა, რომ იყო სახელმწიფოები, რომელიც კომუნისტურს უწოდებდა თავის თავს (საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია და სხვ.) და არიან ქვეყნები კომუნისტური (ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა), **აუცილებელია აღინიშნოს, რომ კომუნისტური საზოგადოებას პრაქტიკულად არ განხორციელებულა და მისი შექმნის სურვილი ყველგან უშედეგოდ დასრულდა,** ან პარტიულ ტოტალიტარიზმში გადაიზარდა.

— „კრედიტი-ბანკისგან სესხად გაცემული თანხა“. (გვ.338). ეს განმარტება სწორია, მაგრამ არასრული. „კრედიტი“ უფრო ფართე შინაარსისაა: **კრედიტი 1. სესხი ფულადი ან საქონლური ფორმით ვადიანობის, დაბრუნებადობისა და როგორც წესი, პროცენტის გადახდით; 2. საბუღალტრო აღრიცხვაში ბალანსის, ჩანაწერის მარჯვენა მხარე. გარდა ამისა, არსებობს კრედიტის მრავალი სახე;**

— „ლიკვიდური, რის განაღდებაც, ფულად ქცევა შეიძლება. ლიკვიდური საქონელი“. (გვ. 350). არც აქ და არც ფულის (გვ.635) განხილვის დროს არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ **ყველაზე ლიკვიდური თავად ფულია.** ამიტომ სწორად მიგვაჩნია განმარტება: **„ლიკვიდური აქტივები-ადვილად რეალიზებადი სახსრები — მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ანგარიშები, ნაღდი ფული, რომელსაც არ მოაქვს შემოსავალი სარგებლის სახით“** (რ. ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ.,2012, გვ. 209);

— **„მოთხოვნისა“** და **„მოთხოვნილების“** ცნებები განხილულია ორ-ორი მნიშვნელობით.(გვ.404). **თუმცა, არაფერია ნათქვამი ეკონომიკური შინაარსის შესახებ, თუნდაც მესამე მნიშვნელობით მაინც.** მით უმეტეს, რომ ეს კატეგორიები ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადია საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

— მეტად უხერხული და ტავტოლოგიურია განმარტება: **„პროდუქცია.წარმოებაში, მეურნეობაში ან მრეწველობის რომელიმე დარგში შექმნილი პროდუქტი...“**

— „რეგიონალური იგივეა, რაც რეგიონული“ (გვ. 508). ბოლო პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად დამკვიდრდა, **ჩვენი აზრით, სწორი ფორმაა — „რეგიონული“, რაც წარმოებულია „რეგიონიდან“;**

— „ნაყოფიერება 1,ნაყოფის მოცემის უნარი.მიწის ნაყოფიერება“ეს სწორია, მაგრამ მას შემდეგ მოსდევს“ 2. „შედეგის მომცემი, წარმატების მომტანი. ნაყოფიერი შრომა“, რომლის გამოსახატავად ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა „მწარმოებლური შრომა“, „შრომის მწარმოებლურობა“ და ა. შ. ამის მინიშნება ურიგო არ იქნებოდა.

ჩვენ შეგნებულად შემოვისაზღვრეთ ძირითადად მეცნიერების ერთი სფეროთი. თუმცა, ესეც საკმარისია განზოგადებისათვის. გლობალიზაციის პერიოდში, როდესაც იმდენად დიდია ინფორმაციული ნაკადები და მასთან ერთად უცხო სიტყვებისა და ტერმინების შემოდინება, როგორც მეცნიერებაში, ისე საყოფაცხოვრებო დონეზე, რომ ჩვენნაირი პატარა ერებისათვის, ამ პროცესებისადმი წინააღმდეგობის გაწევა მოითხოვს ერის ყველა და უპირველეს ყოვლისა, ინტელექტუალური ძალების მობილიზებას. არც ერთ ავტორს, ან ავტორთა ჯგუფს არ შეუძლია ამ ამოცანის სრულად გადაჭრა.ამისათვის უპრიანია ქვეყანაში სახელმწიფოს პატრონატითა და დაფინანსებით არსებობდეს ენის სადარაჯოზე მდგომი მუდმივმოქმედი ორგანო. აუცილებელია სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების შესახებ კანონის მიღება.მანამდე კი ყველა ცალკეულ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ყველა ის რესურსი, რაც არსებობს. ამით მარტო მეცნიერულ ეთიკას კი არ ვცემთ პატივს, არამედ წინ წავწევთ ქართულ საქმეს და თავიდან ავიშორებთ ზემოთ მითითებულ შემთხვევას — ნაშრომის საგანზე ქართველ ავტორთა უგულებელყოფას და აქედან გამომდინარე, დასანან ხარვეზებს.

ლეო ჩიქავა,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;

რევაზ გოგოხია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ რედაქტორი;

მიხეილ ჯიბუტი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

◎ პერსპექტივა

მიხეილ ყაველაშვილის პროგრამის პრეზენტაცია

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში მიხეილ ყაველაშვილის ფეხბურთის სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრაზე ბევრი ცნობადი სახე მოვიდა, დარბაზში დაახლოებით 100 კაცამდე იყო და გარდა ამისა, დერეფანშიც ბევრი ადამიანი იმყოფებოდა. დამსწრეთა შორის იყვნენ ვეტერანი ფეხბურთელებიც, რომლებიც ყაველაშვილთან ერთად თამაშობდნენ – მაგალითად, გიორგი ქინქლაძე, გოგა გახოკიძე, ირაკლი ზოიძე და სხვები.

მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებელმა ყაველა შვილმა წარმოადგინა გეგმა, სახელად „ტალანტების ფაბრიკა“. მან შესავალ სიტყვაში ისაუბრა დავით ყიფიანზე და თქვა, რომ მისთვის ფეხბურთის ცნება სწორედ ყიფიანთან ასოცირდებოდა.

ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ 20 წლის წინ თუ საქართველოში ფეხბურთელთა რაოდენობა 45000 იყო, ახლა 11537-ია, რაც კატასტროფაა. 2002 წლიდან 2012-მდე ფეხბურთელთა რაოდენობა 30 პროცენტით შემცირდა. არ არსებობს მასობრიობა და მცდარია აზრი, თითქოს უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდით გადაიჭრება მასობრიობის პრობლემა.

მონიტორზე წარმოდგენილი იყო და თავად ყაველაშვილმაც ისაუბრა გეგმებზე, თუ როგორ აპირებს ფეხბურთის განვითარებას. ყაველაშვილის გუნდის წევრების ნაუბარიც შემოგვთავაზეს: გუბაზ დოლიძემ ბავშვთა ფეხბურთზე ისაუბრა, მამუკა მაჭავარიანმა – ეროვნული ჩემპიონატზე, ხოლო გოჩა ჯამარაულმა – ეროვნულ ნაკრებზე.

იყო საუბარი უნიკალური, ინოვაციური წვრთნის მეთოდოლოგიაზე და მის ტექნოლოგიურ მხარდაჭერაზე, პოტენციური ფეხბურთელების მოზიდვის პროგრამაზე, ასევე, რაც მეტად საყურადღებოა, 300 მწვრთნელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, 20 საფეხბურთო სკოლის შექმნაზე და 4 უფასო ელიტარული აკადემიის დაარსებაზე. ეს ყველაფერი თანხებს უკავშირდება, თუმცა ყაველა შვილის თქმით, ეს სულაც არაა ის თანხები, რომელიც აქამდე არ დახარჯულა ქართულ ფეხბურთში.

ასევე პროგრამის ნაწილია 7 ფეხბურთელის ასპარეზობა ევროპის ტოპ-ჩემპიონატებში, 25 ფეხბურთელის გამოსვლა საშუალო დონის ევროპულ ლიგებში და 2020 წლიდან ეროვნული ნაკრების დიდ საფეხბურთო ფორუმებზე სისტემატური მონაწილეობა.

ყაველა შვილმა ხაზი გაუსვა, რომ მსაჯებს ჩვენს ქვეყანაში პატივს არ სცემენ და ადამიანად არ თვლიან, როცა შვეიცარიელები ურს მაიერი და მასიმო ბუსაკა (რომელსაც თავად იცნობს), დაფასებულნი არიან. საუბარი შეეხო 300 კვალიფიციური მსაჯის მომზადებას...

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ცხელი ზაფხულის კონტურები

საძართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელმა შტაბმა ის კანდიდატები დაასახელა, რომელთაგან 2015 წლის ევროპის ჩემპონატის შესარჩევ ტურნირზე საასპარეზო შემადგენლობას შეარჩევს. იგორ კოკოშკოვმა და მისმა ქართველმა ასისტენტებმა 19 კალათბურთელი შეარჩიეს, რომელთა სრულ სიას ქვემოთ გაეცნობით.

პირველად გამოიძახეს ეროვნული გუნდის შეკრებაზე ირაკლი ჩლაიძე (24 წლის) და ბექა წივწივაძე (25 წლის). ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდნენ მიხეილ ბერიშვილი და აკაკი დვალიშვილი, რომლებიც ევროპირველობის გასულ ციკლში ნაკრებში არ გამოუძახიათ, მანამდე კი რამდენჯერმე შეკრებაზე იყვნენ, თუმცა ძირითად 12 კაცში ვერ ხვდებოდნენ.

ნაკრებს უბრუნდება კაპიტანი ზაზა ფაჩულია, რომელმაც გასული ციკლი ფეხზე გადატანილი ოპერაციის გამო გამოტოვა. იგივე მიზეზით არ იყო ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე თორნიკე შენგელია, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ გააფორმა კონტრაქტი ესპანურ „ლაბორალთან“ და ეროვნული გუნდის მწვრთნელებს მისი დიდად ეიმედებათ.

ეროვნული ნაკრები 23 ივლისს თბილისში შეიკრიბება და შესარჩევი ეტაპისთვის სამზადისს ფიზმომზადებით დაიწყებს. გთავაზობთ ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის გეგმას.

23-24 ივნისი შეკრება თბილისში,

5 ივლისი გამგზავრება პოდჩეტრტეკში (სლოვენია),

6-14 ივლისი შეკრება პოდჩეტრტეკში,

15 ივლისი გამგზავრება მაკედონიაში (ტურნირი ქ. ოჰრიდში. მონაწილეობენ: მაკედონია, საქართველო, ავსტრია, რუმინეთი),

20-23 ივლისი შეკრება პოდჩეტრტეკში,

24-26 ივლისი ოთხთა ტურნირი სლოვენიაში (კანადა, სლოვენია, უკრაინა, საქართველო),

28-30 ივლისი ამხანაგური მატჩები ლიტვასთან: 28 ივლისს ქ. პანევეჟისში, 30 ივლისს ქ. ვილნიუსში,

2-4 აგვისტო ოთხთა ტურნირი თბილისში, მონაწილეობენ: ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, დიდი ბრიტანეთი.

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

10 აგვისტო, თბილისი

საქართველო – ჩეხეთი,

13 აგვისტო, კეჩკემეტი

უნგრეთი – საქართველო,

17 აგვისტო, ოვარი

პორტუგალია – საქართველო,

20 აგვისტო, ნიმბურკი

ჩეხეთი – საქართველო,

24 აგვისტო, თბილისი

საქართველო – უნგრეთი,

27 აგვისტო, თბილისი

საქართველო – პორტუგალია.

საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა

დუდა სანაძე, ვიქტორ სანიკიძე, ლევან ფაცაცია, რიკი ჰიკმანი, გიორგი ცინცაძე, ბესიკ ლეჟავა, ბექა ბურჯანაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ოთარ ფხაკაძე, ნიკა მეტრეველი, გიორგი შერმადინი, ირაკლი ჩლაიძე, ბექა წივწივაძე, გიორგი შარაბიძე, მიხეილ ბერიშვილი, ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, რევაზ როგავა, აკაკი დვალიშვილი.

სამწვრთნელო შტაბი

იგორ კოკოშკოვი, მთავარი მწვრთნელი,

ჯეისონ სტოდტი, მწვრთნელის ასისტენტი,

დავით უსტიაშვილი, მწვრთნელის ასისტენტი,

კოტე ტუღუში, მწვრთნელის ასისტენტი,

ალექსანდრე ჩვოროვიჩი, ფიზმომზადება,

ავთო ბერიძე, ფიზმომზადება,

თემურ ხვედელიძე, ექიმი,

თემურ ყიფშიძე, ექიმი,

ზაქრო ჯვარიძე, ექიმი,

ზურა სულეიმანაშვილი, ექიმი,

პაატა ლობჟანიძე, გენერალური მენეჯერი,

გივი სანაძე, მენეჯერი.

დავსძენთ, რომ პარტნიორებს უკანასკნელ მომენტში გამოაკლდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ანატოლი ბოისამ თვითონ თქვა უარი სანაკრებო კარიერის გაგრძელებაზე, ხოლო ლაშა გამყრელიძე პირადად გუნდის თავკაცთან კონფლიქტის გამო დარჩა ნაკრებს მიღმა. კურიოზული ფაქტის გამო აღმოჩნდნენ თამაშგარე მდგომარეობაში გოგა ცეკვავა და გიორგი ბარბაქაძე – მათ საბუთები არა აქვთ წესრიგში. რაც შეეხება ტრავმებს, ვიმედოვნებთ, რომ მათ მალე მოიშუშებენ მარკოიშვილი, შერმადინი და ჰიკმანი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კონტრაქტი

ბილეკი „დინამოს“ 6 ივნისს ჩაიბარებს

საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ რომ ჩეხ სპეციალისტ მიხალ ბილეკთან ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა და მისი დანიშვნა ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, ამის შესახებ ხმები ადრეც ვრცელდებოდა.

საბოლოოდ ეს ინფორმაცია უკვე „დინამოს“ ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა და გადაწყდა, რომ ბილეკი თბილისელებს გაწვრთნის.

49 წლის ჩეხი საქართველოს დედაქალაქში 6 ივნისს ჩამოვა და „დინამოს“ ჩაიბარებს. ბოლოს ის ჩეხეთის ეროვნულ გუნდს წვრთნიდა და თანამდებობა მას მერე დატოვა, რაც გაირკვა, რომ მისი შეგირდები ბრაზილიის 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდებოდნენ.

ეროვნული ნაკრების გარდა, ბილეკი „ტეპლიცეში“, კოსტა რიკის „კარტახინესში“, ჩეხეთის 19-წლამდელთა ნაკრებში, „ხმელში“, „პლზენში“, პრაღის „სპარტასა“ და „რუჟომბეროკში“ მუშაობდა.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში „დინამოს“ ჩეხი დუშან უჭრინი წვრთნიდა, ხოლო მეორე ნახევარში – მალხაზ ჟვანია. თბილისელებმა საქართველოს ჩემპიონატიც მოიგეს და თასიც მოიპოვეს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ პატივგება

ის ხუთოსანი კოლეგაა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სპორტული ფოტოგრაფის ბადრი კეთილაძის გამოფენა გაიხსნა, რომელიც მის 55 წლის იუბილეს ეძღვნება.

მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბადრი კეთილაძეს ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა – ოლიმპიური კომიტეტის სიგელი და ფულადი პრიზი, თბილისის „დინამოს“ პრესატაშე გიგა გვენცაძემ კი სახელობითი „დინამოს“ მაისური უსახსოვრა.

ფოტოგამოფენა სამინისტროში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება-დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ ბადრი კეთილაძის არქივიდან 55 გამორჩეული ფოტო იხილონ. იმავე დღეს ფოტოგამოფენა წეროვანში მცხოვრებმა დევნილმა ბავშვებმა და პატარა მორაგბეებმა დაათვალიერეს, რომლებსაც რაგბის ვარჯიშები სამინისტროს დახმარებით უფასოდ უტარდებათ.

ბადრი კეთილაძე 25 წელია, რაც სპორტულ ფოტოგრაფიაში მოღვაწეობს და ქართული სპორტის უნიკალური არქივი გააჩნია. ის წლების განმავლობაში იყო „სარბიელის“ ფოტოგრაფი, ამჟამად კი თბილისის „დინამოს“, „მსოფლიო სპორტის“ და uefa.com-ის თანამშრომელია.

ბადრი კეთილაძის ფოტოები გამოყენებულია შემდეგ წიგნებში – „სპორტის ენციკლოპედია“, „ქართული სპორტის ფოტოისტორია“, „ქართული სპორტის ოქროს წიგნი“, „მსოფლიო თასის ისტორია“, „ქართული ფოტოგრაფია“, „ამერული ჩანაწერები – 1500 ნაბიჯის მოკლე ისტორია“.

ბეჟან დოლიძე

◎ ხელბურთი

პირველად!

სახელბურთო ჩემპიონთა ლიგა პირველად მოიგო გერმანიის „ფლენზბურგ-ჰანდევიტმა“, რომელმაც ფინალში დაამარცხა სამგზის ჩემპიონი გერმანიისვე „კილი“ – 30:28.

პირველ ტაიმში „ფლენზბურგი“ „ტრადიციულად“ 6 ბურთით ჩამორჩა – 6:12, მაგრამ ნელ-ნელა შეამცირა სხვაობა და ზედ შესვენების წინ ის ერთ ბურთამდე დაიყვანა – 15:16.

ანგარიში პირველად 37-ე წუთზე გაათანაბრა თომას მოგენსენმა – 19:19. ორ წუთში ანდერს ეგერტმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 20:19 და ამის შემდეგ მუდმივად „ფლენზბურგი“ ლიდერობდა, მაქსიმუმ – 4 ბურთით – 25:21, 45-ე წუთზე.

დასრულებამდე 3 წუთით ადრე მარკო ვუინმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა – 28:29. თუმცა ჰოლგერ გლანდორფმა მატჩის უკანასკნელი გოლი დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე შეაგდო – 30:28. „ფლენზბურგის“ სამმა ცაციამ – გლანდორფმა, შტეფენ ვაინჰოლდმა და ლასე სვანმა ჯამში 16 გოლი შეაგდო, ხოლო შვედმა მეკარემ მათიას ანდერსონმა 23 დარტყმა მოიგერია.

„ფლენზბურგმა“ წლევანდელ ლიგაში დანის პირზე გაიარა – მერვედფინალში ორი მატჩის ჯამში 2 ბურთით დაამარცხა



სლოვენიის „ცელიე“, მეოთხედფინალში სტუმრად გატანილი მეტი გოლით აჯობა პოლონეთის „კელცეს“, ხოლო ნახევარფინალში ბოლო ექვს წუთში ექვსბურთიანი სხვაობა გაუბათილა „ბარსელონას“ და შვიდმეტრიანების სერიაში დაამარცხა კიდეც.

„ოთხთა ფინალის“ ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარეს „კილის“ ისლანდიელი გამთამაშებელი არონ პალმარსონი, ხოლო ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა უნგრული „ვესპრემის“ მომირ ილიჩი – 103 გოლი.

ფლენზბურგი პატარა ქალაქია გერმანიის ჩრდილოეთში, დანიის საზღვართან, ასი ათასზე ნაკლები მოსახლეობით. კლუბი ერთხელ ყოფილა გერმანიის ჩემპიონი (2004) და სამჯერ მოუგია თასი. კლუბს ორჯერ აქვს წაგებული ჩემპიონთა ლიგის ფინალი და სამჯერ მოუგია რანგით უმცროსი ევროთასები – თასების მფლობელთა თასი (2001, 2012) და ხელბურთის ფედერაციის თასი (1997). 2013-14 წლების სეზონში კლუბმა მესამე ადგილი დაიკავა გერმანიის ჩემპიონატში, ხოლო თასის ფინალში დამარცხდა „ფუხსე-ბერლინთან“.

კოგა კოგახიძე

◎ საერთაშორისო მოძრავი ფოტოგამოფენა

გავხედოთ სამყაროს ფანჯრიდან...

ფოტოგამოფენას ფოტოგამოფენა ენაცვლება ზურაბ წერეთლის თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში, ერთი თუ ამ ცოტა ხნის წინათ დაიხურა, **მეორე გუშინ გაიხსნა და ბარე ერთ თვეს გასტანს.** ეს არის საერთაშორისო მოძრავი ფოტოგამოფენა, რომელსაც წარმოადგენს ინტერნეტ-რესურსი **„პროტოკოლუმ კომი“,** ფედერალური სააგენტო **„როსსოტრუდნიჩესტვო“** და რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის სექცია **„არტ-ფოტო“.**

როგორც გამოფენის ერთ-ერთი კურატორი, ინტერნეტრესურსის პრეზიდენტი, რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრი **ვიქტორ დანილოვი** ამბობს, ინტერნეტრესურსის ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანაა, გააერთიანოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ფოტოხელოვანები გამოცდილების გასაზიარებლად და გამოფენის მეშვეობით გასწიოს მათი შემოქმედების პოპულარიზაცია. გამოფენის ძირითადი დევიზია **„ხელოვნება მშვიდობისთვის“,** რომელიც დღეს ასე აქტუალურია.

2009 წლის ივნისიდან დღემდე გაიმართა 24 გამოფენა სახელწოდებით **„ფანჯარა სამყაროში“.** პირველად იგი ერევანში გაიხსნა, მერე კი იქვე, გიუმრიშიც (ლენინაკანი) მიმდინარეობდა. თანდათან ფოტონამუშევრები გამოფენილი იყო რუსეთის ფედერაციაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაროკოში... ეჭვი არ მეპარება, — ამბობს ვიქტორ დანილოვი, — რომ თბილისელებს დიდად დააინტერესებს ფოტოგამოფენა, ისინი პირველად გაეცნობიან სომხეთის, რუსეთის, გერმანიის, ავსტრიის, ისრაელის, ნიდერლანდების, შეერთებული შტატების, უკრაინის და, რა თქმა უნდა, საქართველოს ფოტოოსტატთა სხვადასხვა ჟანრის ფოტოს, სულ 250-მდე ნამუშევარს, ეს იქნება შესანიშნავი საანახაობა. საგამოფენო სივრცეში ერთ-ერთი დარბაზი მიეძღვნება დიდი ქართველი ხელოვანის ზურაბ წერეთლის საიუბილეო წელს, მის 80 წლისთავს.

რა სჯობს, როცა სხვადასხვა ქვეყნის ფოტოოსტატები გაეცნობიან ერთმანეთის შემოქმედებას (ალბათ, ბევრი ჩამოვა გამოფენის გახსნაზე), გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საბოლოო ჯამში კი, ეს ყოველივე, კიდევ ერთი დასტური იქნება იმისა, თუ როგორ უნდა ეხმიანებოდეს ხელოვნება მთელ მსოფლიოში მშვიდობას, — გვითხრა ბოლოს ვიქტორ დანილოვმა.

მუზეუმში კი მართლაც უამრავი დამთვალიერებელი მოვიდა წუხელ საღამოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ინტერესი ამ ფოტოგამოფენის მიმართ მომავალ დღეებშიც გაგრძელდება.

ვილენ მარდალეიშვილი

დედა ნანა მჭედლიშვილი-ქორიძე, მამა ჯემალ ქორიძე, მეუღლე ეკა მურველაშვილი, შვილები, კახა, ლუკა ქორიძეები, ძმა კახა, და ქეთი, ძმისწულები, დისწული, სიდედრი თამრიკო, ბიძა ნოდარ მჭედლიშვილი, ბიცოლა ლეილა ჩაფიძე, დეიდა ლია მჭედლიშვილი, ბიძაშვილები გიორგი, ინგა, ანუკი, დეიდაშვილები ნატო, მაკა, რძალი ლალი პეტრიდი, სიძეები ირაკლი ვასაძე, შალვა ჭიჭიაშვილი, ნიკა სტეფანიშვილი, კობა სარდალაშვილი, ახლობლები, ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ჯემალის ძე ქორიძე

პანაშვიდი 4 VI, 17 სთ. გამოსვენება 5 VI, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ერწოს ქ. 4, IV კორპ. II სადარბაზო, IV სართული (მეტრო „ღრმაღელეს“ მოპირდაპირე მხარეს).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს, გაზეთის კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელს კახა ქორიძეს ძმის

ზურაბ ქორიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის რექტორი 1997-2005 წლებში, ღირსების ორდენის კავალერი

გურამ კილასონია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ მუნდიალის წინ

არგენტინელთა განაცხადი

არგენტინის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალეხანდრო საბელიამ მსოფლიო ჩემპიონატისთვის 23-კაციანი საბოლოო შემადგენლობა დაასახელა.

არგენტინელმა სპეციალისტმა თავდაპირველად 30 ფეხბურთელს უხმო და ტურნირის მიღმა შემდეგი ფეხბურთელები დატოვა: ნიკოლას ოტამენდი („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია), გაბრიელ მერკადო („რივერ პლეიტი“), ლისანდრო ლოპესი („ხეტაფე“, ესპანეთი), ევერ ბანეგა („ნიუელს ოლდ ბოისი“), ხოსე სოსა („ატლეტიკო“, ესპანეთი), ფაბიან რინაუდო („კატანია“, იტალია), ფრანკო დი სანტო („ვერდერი“, გერმანია).

აგრეთვე, ცნობილი გახდა არგენტინელი ფეხბურთელების პირადი ნომრები, რომლითაც მუნდიალზე იასპარეზებენ.

ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონობისთვის შემდეგი ფეხბურთელები იბრძოლებენ:

მეკარეები: 1. სერხიო რომერო („მონაკო“, საფრანგეთი), 21. მარიანო ანდუხარი („კატანია“, იტალია), 12. აგუსტინ ორიონი („ბოკა ხუნიორსი“).

მცველები: 17. ფედერიკო ფერნანდესი („ნაპოლი“, იტალია), 2. ეზეკიელ გარაი („ბენფიკა“, პორტუგალია), 15. მარტინ დემიკელისი, 4. პაბლო საბალეტა (ორივე „მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), 16. მარკოს როხო („სპორტინგი“, პორტუგალია), 23. ხოსე ბასანტა („მონტერეი“, მექსიკა), 3. უგო კამპანიარო („ინტერი“, იტალია).

ნახევარმცველები: 5. ფერნანდო გაგო („ბოკა ხუნიორსი“), 13. აუგუსტო ფერნანდესი („სელტა“, ესპანეთი), 14. ხავიერ მასკერანო („ბარსელონა“, ესპანეთი), 7. ანხელ დი მარია („რეალი“, ესპანეთი), 6. ლუკას ბილია („ლაციო“, იტალია), 11. მაქსი როდრიგესი („ნიუელს ოლდ ბოისი“), 19. რიკარდო ალვარესი („ინტერი“, იტალია), 8. ენცო პერესი („ბენფიკა“, პორტუგალია).

თავდამსხმელები: 20. სერხიო აგუერო („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), 9. გონსალო იგუაინი („ნაპოლი“, იტალია), 10. ლიონელ მესი („ბარსელონა“, ესპანეთი), 22. ეზეკიელ ლავესი („პსჟ“, საფრანგეთი), 18. როდრიგო პალასიო („ინტერი“, იტალია).

გიორგი ზოთაძე

◎ ნატურიდან

მოაზროვნე

ივჯდა მამუკა კაფეში და თბილისურად მომზადებულ კიევურ კატლეტს უგემურად ილოღნებოდა. თანამეინახემ ულალატა (სიმთვრალისას მარცხი შეემთხვა და „ტაიმ-აუტი“ აიღო), თორემ პატარას გადაყლურწავდა და მადას გაიხალისებდა. მძიმე სიტუაცია კაფეში მოულოდნელად შემოჭრილმა მოაზროვნემ განმუხტა.

— წარნაოზ, ძმაო, არაფერს დალევ? — ჰკითხა მამუკამ შემოსულს და გამომცდელად შეაცქერდა თვალებში.

— რატომაც არა, ჩაის დასალევად შემოვედი.

— კაცო, მაგ ჩაის წრუპვას რო გადაყევი, საჭმელს რატო არ მიაყოლებ?

— კარგა ხანია ასე ვარ, — თავი მოიწონა მოაზროვნემ, — მხოლოდ დღეგამოშვებით თუ გავლეჭავ ხოლმე რაღაცას.

— ოი, ოი, ოი, — შეიცოდა მამუკამ, — ჭამას რო გადაეჩვიო, არ გეშინია?

— არა, პირიქით, უკეთესიც იქნება.

— ეგ როგორ?

— ასე, მოაზროვნეს ჭამა არ უხდება.

— რატომ, კაცო?

— აზროვნებას ამუხრუჭებს და იმიტომ.

— ესე იგი, რომ გაძღები, ვეღარ აზროვნებ? — არ ეშვება მამუკა.

— ვერა, ლენჩივითა ვხდები.

— ეს ჩვენი სახელმწიფო მოღვაწენიც მასე არიან?

— რა თქმა უნდა, ვინც აზროვნებს, ძღომისგან ყველას ასე ემართება.

— აბა ჩვენი მოაზროვნე ჩინოვნიკები და დეპუტატები ყოველდღე რო ძღებიან და ტყვრებიან, თანაც სუკის მწვადითა და ჩაქაფულით? — იკითხა შემცბარმა მამუკამ და პირს მომდგარი ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა.

— წინდაუხედავად იქცევიან, ხო ნახე, წინა ხელისუფლება სწორედ მაგ მუცელღორობამ გადაიყოლა.

— სააკაშვილიც?

— რა თქმა უნდა, მაგათ შორის სააკაშვილს ჭამა-თქვლეფა, როგორც ვიცი, ყველაზე მეტად უყვარდა.

— სიგიჟესაც რო აბრალებდნენ?

— მთლად უარესი, ჯერ მშიერი გიჟი როგორ აზროვნებს და, წარმოიდგინე, რო გაძღებოდა, რას მოიმოქმედებდა?!

— ძღომა რო არ ჰყვარებოდა, ვითომ გადარჩებოდა?

— შენ წარმოიდგინე, გადარჩებოდა.

— კიდევ კარგი, — პირჯვარი გადაიწერა მამუკამ, — თორემ ახლაც თავზე გვაჯდებოდა. მერე გაახსენდა, რომ კატლეტით იქუსნებოდა და შეეშინდა: აბა მე რო გავძეხი, ახლა გაზეთიდან გამაგდებენ?

— შენ ჭამე რამდენიც გინდა, — გამხნევა მოაზროვნემ, — ჟურნალისტები, პირიქით, მაშინ არიან საშიშნი ხელისუფლებისთვის, როცა მშივრები არიან.

— კიდევ კარგი, — შვებით ამოისუნთქა მამუკამ და მოაზროვნეს მორიგი შეკითხვა დაუსვა:

— პარლამენტარები და ჩინოვნიკები რიღათი არიან საშიშნი?

— ხომ გითხარი, უზომო ძღომის გამო ვეღარ აზროვნებენ, ლენჩდებიან, ზოგ მათგანს ლაპარაკიც კი უჭირს — ბლუქუნებს.

— კიდევ რა უჭირთ?

— ნაჭამ-ნასვამებს წელში მოხრა და ქვეითას გასაჭირის დანახვა.

— ესე იგი, გამაძღრებს მხედველობაც უქვეითდებათ?

— კი, ვერაფერს ვეღარ ხედავენ, თავად რომ მაძღრები არიან, სხვაც გამაძღარი ჰგონიათ.

— შენი აზრით, მაგათ შორის შედარებით უკეთესად რომელი აზროვნებს?

— ალბათ, ხადური.

— რაზე ატყობ?

— ხომ ნახე, ამას წინათ საქეიფო მენიუ გამოაქვეყნა.

— მაგით რისი თქმა უნდოდა?

— ვერა ხვდები? გვაჩვენა, ნახეთ როგორი მომჭირნე ფინანსისტი ვარ, არც ისე ვყვლეფავ ხაზინას, თქვენ რომ გეჩვენებათო.

— მაგრამ ფინანსებს მომჭირნეობისა რომ არაფერი ეტყობა?

— როგორ არა, რაც ეგ ფინანსთა მინისტრი გახდა, ხომ ხედავ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩინოვნიკების პრემირებაზე კაპიკიც აღარ იხარჯება.

— ეგ უკვე მეტისმეტია, — არ დაეთანხმა მამუკა, — ბოლოს და ბოლოს, ეგენი სახელმწიფო მოღვაწენი არიან, პენსიონერები ხომ არა, რომ კაპიკებს ითვლიდნენ.

— შენ პენსიონერები ეძახე და იმათგან ზოგს ისეთი ცინცხალი აზროვნება აქვს, ბევრ პოლიტიკოსს შეშურდება.

— ეტყობა, მშივრები რო არიან, იმიტომ, არა?

— ძლივს არ მიხვდი? — გაიბადრა მოაზროვნე.

— ჩაის ვინ ელოდება. წაიღოს, — დაიძახა მებუფეტე ქალმა.

მოაზროვნემ ცხელი ჩაი მოხვრიპა და დროებით დადუმდა.

ოტია ჩართოლანი

◎ წკეპლიკა

ვინ არის ჭიაბერაშვილი?

გვარად ვარ გამორჩეული,
ჩამშვები კარგად ცნობილი,
ექსპრეზიდენტის რჩეული,
ფალოსზე შეყვარებული.
ბერმუდის „სამკუთხედიდან“
„რკინის ხეს“ შეტოტებული,
გუბერნატორად, მინისტრად
მიშასგან შეხოტბებული,
ახლა კი სამსჯავრო სკამზე,
ვანოსთან დასკუპებული.

ლონდა მდივანი

◎ ინფორმაცია

აზერბაიჯანიდან არადეკლარირებული ტექნიკა გადმოჰქონდა

კანონის დარღვევისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააჯარიმეს. საბაჟო გამშვები პუნქტ „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა აზერბაიჯანის მოქალაქე ჯ.ა. იმის გამო, რომ მგზავრს რამდენიმე საათით ადრე ექსპორტზე გატანილი ჰქონდა დიდი ოდენობით მობილური ტელეფონი, მებაჟე-ოფიცრებს გაუჩნდათ ეჭვი. დეტალური დათვალიერებისთვის ავტომანქანა გადაიყვანეს სპეციალურ ანგარში, სადაც აღმოჩნდა, რომ სავარძლის საზურგეებში, ძრავის განყოფილებაში (კერძოდ, ჰაერის ფილტრებში) და საბარგულში (ე.წ. „ჩეინჯერში“) დამალული იყო 10 ცალი ტელეფონი, ერთი ცალი პლანშეტური კომპიუტერი და ტელეფონის აქსესუარები კერძოდ: 16 ცალი დამტენი, 16 ცალი საყურისი და ერთი ცალი ელემენტი.

ექსპერტიზის დასკვნის თანასმად, აღნიშნული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 3467,03 ლარი.

აზერბაიჯანის მოქალაქე დაჯარიმდა არადეკლარირებული, დამალული საქონლის ღირებულების 100%-ის ოდენობით და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 3467,03 ლარი.

ინტერპრესი

◎ მცირე ენციკლოპედია

„მკვდარი“ საჭმელი

არსებობს ვერსია, რომ მიკროტალღური ღუმელის გამოსხივება წყალს „კლავს“. „მკვდარი“ კი ისეთ წყალს ჰქვია, რომელიც არანაირ მინარევს არ შეიცავს.

არადა, უმინარევო წყლის მიღება მხოლოდ მისი ფილტრაციითაა შესაძლებელი და არა მიკროტალღური გამოსხივებით. ლაპარაკი მიკროტალღური გამოსხივების საკვებზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ დიდი ხანია მიდის, მაგრამ ამ საკითხის სერიოზული შესწავლა არავის უცდია. მტკიცებულებად ჯერჯერობით მხოლოდ ის მივიჩნიოთ, რომ სამ წელზე მეტი ხნის მიკროტალღურ ღუმელს ნეგატიური გამოსხივება აქვს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ საჭიროა გამართულ ღუმელთანაც კი უსაფრთხოების გარკვეული ზომების დაცვა: მისი მუშაობისას შორს დადგომა და, შესაძლებლობის ფარგლებში, მუშაობის სუსტი რეჟიმის ხმარება, რა დროსაც გამოსხივება მინიმალურია.

გოგრა... ინფარქტს ებრძვის

რაც უფრო მეტ ანტიოქსიდანტს იღებს ქალი, მით უკეთაა დაცული მისი გული ინფარქტისგან, ესაა შვედი ექიმების ცოტა ხნის წინათ ჩატარებული გამოკვლევის შედეგი.

გამოკვლევაში 49-დან 83 წლამდე ასაკის 32 ათასზე მეტმა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა საკვებთან დაკავშირებულ ჩვევებს სპეციალისტები ათი წლის მანძილზე სწავლობდნენ: მოხალისეები რეგულარულად პასუხობდნენ შეკითხვებს თავიანთი რაციონის შესახებ.

ამ ათი წლის განმავლობაში ათასზე მეტ ქალს გულის შე-

ტევა მოუვიდა. ანალიზმა კი აჩვენა, რომ იმ მოხალისეებში, რომელთა საკვებში ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობა იყო, ინფარქტის რისკი სხვებთან შედარებით 20 პროცენტით დაბალი იყო. ყველაზე ჯანმრთელი კი ისინი აღმოჩნდნენ, ვინც ხილსა და ბოსტნეულს სხვებთან შედარებით სამჯერ უფრო ხშირად მიირთმევდნენ.

ანტიოქსიდანტების ძირითად წყაროებს შორის დიეტოლოგები ასახელებენ შავ ქლიავს, ყურძენს, ბროწეულს, სტაფილოს, პამიდორს, მოცვს, ქაცვს, შტოშს, მოცხარს, კომბოსტოს, გოგრას, ხოლო სასმელებში — წითელ ღვინოს, მწვანე ჩაისა და კაკაოს.

სჯობს, ნადგომი წყალი სვათ

ბოლო დროს ჩვენ ონკანებში ხშირად მოდის რძისფერი, ძლიერ ქლორირებული წყალი, რომელსაც ბევრი მერე ანადულარს სვამს. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ქლორირებული წყლის ადუღებით ეს ჰალოგენი იქიდან სულაც არ ორთქლდება.

ეს მხოლოდ ფორმალურადაა, რომ ქლორირებული წყალი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა. არადა, არსებული მოსაზრებებით, ქლორს, შესაძლოა, მუტაგენური თვისებები ჰქონდეს, ამიტომ ამ დროს უმჯობესია საყოფაცხოვრებო ფილტრებით სარგებლობა. ხოლო თუკი სახლში ასეთი ფილტრი არა გაქვთ, ონკანის წყალს 10 საათის მანძილზე დგომა აცადეთ, რადგან ადუღებას სასურველი ეფექტი, როგორც აღმოჩნდა, არა აქვს.

უფროსობა უფრო ნაკლებად სანერვიულოა

ხელმძღვანელი მუშაკები სტრესებს რიგით თანამშრომლებზე ნაკლებად განიცდიან, აცხადებენ ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები.

ამის მტკიცების შესაძლებლობა მეცნიერებს სისხლში სტრესის ჰორმონის — კორტიზოლის შემცველობის შესწავლამ მისცა, რომელიც მაშინ გამომუშავდება, როცა დაძაბულობას ვგრძნობთ.

უფროსების სისხლში კორტიზოლის შემცველობა 27 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ის მათ ქვეშევრდომებს აქვთ. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ხელმძღვანელებს გარშემო მყოფთა გაკონტროლება შეუძლიათ (თანამედროვე ტექნიკის პირობებში კი ამის გაკეთება უწინდელთან შედარებით გაცილებით ადვილია), ხოლო რიგითი თანამშრომლები კი ვალდებულნი არიან უფროსებს დაემორჩილონ.

როცა დედას ჩვილი ხელში უჭირავს...

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ გარკვეული ნიჭის განვითარება დედას სულ ერთი ციდა პატარისთვისაც შეუძლია.

მაგალითად, თუკი დედა ხელში აყვანილ ჩვილს უმღერის, ბავშვს მომავალში კარგი სმენა ექნება. ხოლო იმ დედებს, ვისაც სიმღერა უჭირთ, პატარასთან ურთიერთობის დროს შეუძლიათ მელოდიური მუსიკის ჩართვა, ფერებისა და საგნების ფორმების კარგად გარჩევის უნარს ბავშვს კი ის დედა განუვითარებს, ვინც მასთან ერთად ფერად ნახატებსა და ლამაზ ნივთებს დაათვალიერებს.

ერთიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვი თავის ირგვლივ საგნებს ეცნობა და იმას იგებს, თუ რა ეწოდებათ მათ, რა არის მათი დანიშნულება, თანაც მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამის გაკეთება მათ მხოლოდ უფროსებთან ურთიერთობის პროცესში შეუძლიათ. თუკი პატარის ბავშვობამ არა საყვარელი დედიკოს ხელში, არამედ, ვთქვათ, ბავშვთა სახლში ან საავადმყოფოში გაიარა, მაშინ საგნების, უფრო ფართო გაგებით კი ადამიანთა სამყაროს აღქმა მისთვის გაცილებით რთული იქნება. ასევე ცუდია, თუკი ერთიდან სამ წლამდე ასაკში ბავშვის ირგვლივ ცოტა სხვადასხვა ლამაზი ნივთი იქნება.

ეს ის დროა, როცა პატარას მუდამ რაღაცის დამტვრევა, ნივთის შიგთავსის შეცნობა სურს, რაც, არსებითად, სამყაროს გაცნობის ქვეცნობიერი სურვილითაა გამოწვეული. მშობლებს ამ გრძნობის სტიმულირება შეუძლიათ, რისთვისაც მას სხვადასხვა საგნებით თამაშის უფლება უნდა მისცენ, მათი დაშლისა და უკეთ გაცნობის პირობები უნდა შეუქმნან, რაც, საბოლოო ანგარიშით, მისი ინტელექტის განვითარებას შეუწყობს ხელს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მილიონერი ავად გახდა. მის საწოლთან ნათესავები შეიკრიბნენ.

— ექიმო, იმედი ვიქონიოთ? — ეკითხებიან ისინი პროფესორს.

— აბსოლუტურად არავითარი! ჩვეულებრივი სურდო აქვს.

* * *

— ბრ მიყვარს, როცა გოგოების ტანსაცმლის ქვეშ ტრუსები და ლიფები ილანდება.

— ნამეტანი მკაცრი ხარ. აბა, რა ქნან, ამ სიცხეში ბრეზენტში მოიხარშონ?

— მეც მაგას არ ვამბობ? რა საჭიროა ზედმეტის ჩაცმა?

* * *

— ბბბ, რომელ ასოს გიჩვენებთ ახლა? — ეკითხება ოფთალმოლოგი პაციენტს.

— სად დგახართ თქვენ?

* * *

ვასკბას სიდედრს მეტეორიტი დაეცა და მოკლა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩამოვარდნილმა ვარსკვლავმა პირადად შეასრულა ვიღაცის სურვილი.

* * *

— **მიხო**, როგორა გაქვს საქმეები ცოლთან საწოლში?

— როგორც ტყეში.

— ეს როგორ?

— როგორ და, ხან ისაა კუნძი, ხანაც მე — შეშა.

* * *

— **გამარჯობა**, საყვარელო! რას აკეთებ?

— ფილმს ვუყურებ.

— კვლავ რაღაც სისაძაგლეს, არა?

— არა, მელოდრამას... გერმანულს... საწყალ გოგოზე, რომელსაც სააბაზანოში ონკანი გაუფუჭდა, და მის დასახმარებლად მისულ ოთხ სანტექნიკოსზე.

* * *

— **თქვენი** კატლეტები მართლაც ტყის ქათმის ხორცისაა?

— მთლიანობაში კი. თუმცა, ცხენის ხორცსაც ვურევთ.

— რა პროპორციით?

— ორმოცდაათი ორმოცდაათზე: ერთი ტყის ქათამი — ერთი ცხენი.

* * *

გოგოს ბოიფრენდთან თავისი საყურეები დარჩა. ურეკავს:

— კიდევ როდის შევხვდებით? ნახვრეტი მიხორცდება.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24